

## ROYAL LETTERS FROM ANCIENT NEAR EAST

ძველახლო აღმოსავლური სამეფო წერილები

MAIA GAMBASHIDZE,

Iv. Javakhishvili Tbilisi State University,

Ass. Prof., Tbilisi, Georgia

Tel.: 599960904

[maia.ghambashidze@tsu.ge](mailto:maia.ghambashidze@tsu.ge)

ORCID 0000-0002-1008-2869

**Abstract**

Various types of written monuments written on clay tablets in the Ancient Near East in the Cuneiform script have reached us: historical, administrative, legal, religious or literary. Among them, the royal correspondence has a special place, most of which are the so-called "Lingua Franca" is written in the Akkadian language.

In 17th to the beginning of the 12th c. BC, several great kingdoms arose in the Ancient Near East, whose rulers controlled almost the entire region: namely, the Hittite Kingdom in Anatolia, the Hurrian/Mitanian Kingdom of Upper Mesopotamia, Assyria and Babylon in Mesopotamia and the Kingdom of Egypt (which was resurrected under local rulers after the expulsion of the Hyksos). A key part of the success of these kingdoms was their ability to cooperate peacefully and resolve disputes diplomatically. And for this, they wrote letters to each other, which, fortunately, have reached us and are today the most valuable source for reconstructing the political picture of the ancient Near East.

Royal letters written in Hittite and Akkadian languages were included in the present collection. I think that not only specialists will be interested in this very interesting correspondence. Ancient Eastern royal letters are published in Georgian for the first time.

**Keywords:** Hittites; Egypt; Assyria; Babylo; Letters; Ancient Near East; Ancient Anatolia; Hittitology; Assyriology; Diplomacy.

მაია ღამბაშიძე,

ისტორიის დოქტ. ივ. ჯავახიშვილის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფ., თბილისი, საქართველო

ტელ.: 599960904,

[maia.ghambashidze@tsu.ge](mailto:maia.ghambashidze@tsu.ge)

ORCID 0000-0002-1008-2869

## აბსტრაქტი

ჩვენამდე მოაღწია ძველ ახლო აღმოსავლეთში ლურმწული დამწერლობით თიხის ფირფიტებზე ჩაწერილმა სხვადასხვა სახის წერილობითმა ძეგლებმა: ისტორიულმა, ადმინისტრაციულმა, სამართლებრივმა, რელიგიურმა თუ ლიტერატურულმა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სამეფო კორესპონდენციას, რომელთა უმეტესი ნაწილი მაშინდელ ე.წ. „ლინგვა ფრანკათი“ - აქადური ენითაა შესრულებული.

ქ. წ. მე-17-დან მე-12 საუკუნის დასაწყისამდე ძველ ახლო აღმოსავლეთში წარმოიშვა რამდენიმე დიდი სამეფო, რომელთა მმართველები აკონტროლებდნენ თითქმის მთელ რეგიონს: კერძოდ, ხათის სამეფო - ანატოლიას, ხურიტების/მითანის სამეფოს - ზემო მესოპოტამიასა და ჩრდ. სირიას, ასურეთის სამეფო - ჩრდ. მესოპოტამიას, ბაბილონის კასიტთა სამეფო - სამხრ. მესოპოტამიას და - ეგვიპტის სამეფო ეგვიპტეს (რომელიც ადგილობრივი მმართველების ქვეშ ჰიქსოსების განდევნის შემდეგ კვლავ აღდგა). ამ სამეფოთა წარმატების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი კი იყო ის დიდი უნარი, მშვიდობიანი გზით ეთანამშრომლათ და სადავო საკითხები დიპლომატიური გზით გადაეჭრათ. ამისთვის კი, ისინი ერთმანეთს სწერდნენ წერილებს, რომლებმაც, საბედნიეროდ, მოაღწია ჩვენამდე და დღეს უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს ძველ ახლო აღმოსავლეთში მაშინდელი პოლიტიკური სურათის აღსადგენად.

ძველადმოსავლური სამეფო წერილები ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

**საძიებო სიტყვები:** ხეთის სამეფო; ეგვიპტე; ასურეთი; ბაბილონი; ქასქები; წერილები; ძველი ახლო აღმოსავლეთი; ძველი ანატოლია; ხეთოლოგია; ასირიოლოგია; დიპლომატია.

## შესავალი

21-ე საუკუნეში, როდესაც ჩვენთვის ყველანაირი კომუნიკაცია ასე გაადვილდა, ალბათ ძნელია წარმოიდგინო, როგორ გადასცემდნენ ინფორმაციას მრავალი ათასწლეულის წინ. საბედნიეროდ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი წერილობითი წყაროებით ვიგებთ, რომ შორ მანძილზე საურთიერთოდ და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადასაცემად ადამიანები ერთმანეთს უგზავნიდნენ თიხისავე კონვერტში ჩადებულ თიხის ფირფიტებს - წერილებს. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს წიგნიერება არ იყო დღევანდელივით განვითარებული, ადამიანები მაინც ბევრს წერდნენ. სავარაუდოდ, ინფორმაციის გადაცემის ყველაზე ძველი ფორმა იყო ზეპირი. „მაცნეები“ ზეპირად იმახსოვრებდნენ გამგზავნის სიტყვებს და ადრესატს მოუთხრობდნენ. მის მეხსიერებაზე იყო დამოკიდებული, რამდენად ზუსტად მიიტანდა სათქმელს ადრესატამდე. ინფორმაციის ასეთი სახით გადაცემა არ

მოითხოვდა არც გამგზავნის და არც მიმღების ღრმა ლიტერატურულ ნიჭს. ხანდახან უპირატესობა ენიჭებოდა გზავნილის ზეპირად გადაცემას, რათა არ გაცემულიყო საიდუმლო ცნობები. სიტყვაზე ნდობა ასევე არ იყო ადვილი, შეიძლება შეცდომაში შეეყვანა წერილის მიმღები.

მაგრამ თუკი ადრესატისთვის უფრო დეტალური ინფორმაციის გადაცემა იყო საჭირო, მაშინ აუცილებელი იქნებოდა აზრის წერილობითი სახით ჩამოყალიბება. თუ გამგზავნმა იცოდა წერა-კითხვა, მაშინ წერილს თვითონ დაწერდა. თუკი მაცნე ვერ წერდა და ვერ კითხულობდა, მაშინ წერილი უნდა გადაეცა იმ პირისათვის, ვისაც ეს შეეძლო, ხოლო თუკი იცოდა, მაშინ კი თავად უნდა წაეკითხა.

იმ დროში მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა არ იცოდა წერა-კითხვა, მეტიც, ზოგიერთმა მეფემაც არ იცოდა წერა-კითხვა. მნიშვნელოვანი იყო, რომ მაცნე სანდო ყოფილიყო. ზოგიერთი წერილი უნდა თაობებზე გადასულიყო, როგორც იყო მაგალითად, სესხის ან ვალის ცნობები, ხელშეკრულებები, მიწის ჩუქების საბუთები, გადასახადები, ამიტომ ხშირად ასეთი საბუთების ასლები კეთდებოდა.

ღვთაებები ადამიანებთან ე.წ. „ვეპირების“ (შუმ. სუქალის) მეშვეობით ურთიერთობდნენ, რომელთაც სიტყვასიტყვით უნდა დაემახსოვრებინათ და მიეტანათ მათი სიტყვები ადამიანებამდე. ღვთაებები „წერილებს“ არ წერდნენ, მაგრამ, მაგ. ხეთურ ტექსტებში გვხვდება ბედთან დაკავშირებული წერილები, რომელსაც „ბედის ღვთაება“ წერდა (<sup>P</sup>Gulšeš - გულს-„წერა“, ანუ, ქართულად სიტყვასიტყვით - „ბედის-წერა“, „ბედის მწერალი“). როდესაც ადამიანებს უნდოდათ ღვთაებებთან ან გარდაცვლილის სულებთან ურთიერთობა, ამისთვის მკითხაობას მიმართავდნენ. გარდაცვლილებთან მიმართვის მაგალითები უმეტესად შემორჩენილია ტაძრებში, ღვთაების ქანდაკებასთან დადგმულ შესაწირ თასებზე. არ ვიცით, როგორ პასუხობდნენ ღვთაებები ამ წერილებს. ერთადერთი შემორჩენილი ე.წ. „პასუხია“ ქალღვთაება იშთარის მიერ თავისი ტაძრის მოხელეებთან ძველბაბილონურად მოწერილი წერილი. წერილის მთავარი დანიშნულებაა ორ ან მეტ ადამიანს შორის ურთიერთობის დამყარება, როდესაც ისინი ზეპირად ვერ ახერხებენ კომუნიკაციას. შესაბამისად, ეს პირველ რიგში ეხებოდა მეფეს, ვინაიდან მისი ყოველდღიური ნახვა შეუძლებელი იყო. ჩვენამდე მოღწეული წერილებიდან უმეტესობა სწორედ სამეფო წერილებისგან შედგება. წერილებს მეფეები ან თავად წერდნენ ან სხვებს აწერინებდნენ. მას წერდნენ ან ის წერდა წერილებს, გასცემდა განკარგულებებს, ბრძანებებს. ძველ ახლო აღმოსავლეთში თითქმის ყველა ენაზე გვაქვს შემონახული წერილები - შუმერულ, აქადურ, უგარიტულ, ხეთურ, ხურიტულ, ეგვიპტურ, ასევე არამეულ, ებრაულ ენაზე.

ჩვენამდე მოღწეული ძველადმოსავლური წერილების უმეტესობა თიხის ფირფიტებზეა დაწერილი, თუმცა ტექსტებში გვხვდება ასევე ხის გაცვილილი დაფები, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. უმეტესად წერილი დატეული იყო ერთ ფირფიტაზე. თუ ტექსტი დიდი იყო, უნდა შეემოკლებინათ.

მწერლები საზოგადოების მაღალ კლასს ეკუთვნოდნენ, რომლებიც სკოლაში სწავლობდნენ წერას. უმეტესად, ისინი წარმოადგენდნენ სამეფო ოჯახს. მათგან მაღალი თანამდებობის პირი მოიხსენიებოდა „ხის ფირფიტის მწერლების უფროსად“. იგი მოწმედ გამოდიოდა საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას.

წერილს ავტორი ან თავად წერდა ან მას კარნახობდა გადამწერს. დიდი მოცულობის საერთაშორისო დიპლომატიური მიმოწერისას, სავარაუდოდ გადამწერს ჯერ წერილის შინაარსს კარნახობდნენ, რომელიც შემდგომ ტექსტს შესაფერის ფორმას და სტილს აძლევდა (წარმოვიდგინოთ, რომ იგი იყო ტექსტის ამკრეფიც, კორექტორიც რედაქტორიც და

დამკაბადონებელიც). შემდგომ მწერალი ავტორს წაუკითხავდა, რაც დაწერა, შეიტანდა შესწორებებს, თუ საჭირო გახდებოდა და დალუქავდა კონვერტს. ბოლოს ავტორი ფირფიტას დაბეჭდავდა საბეჭდავით. გრძელი წერილები, მაგ. როგორც იყო მიწის ჩუქების დოკუმენტები, ხელშეკრულებანი, მითები, რიტუალები, მთავრდებოდა ე.წ. „კოლოფონით“, სადაც იწერებოდა მწერლის/გადამწერის სახელი და „ამის და ამის ხელით“ (ŠU LÚDUB. SAR(.GIŠ) აქად. *ISṬUR*/შუმ. IN.SAR, ხეთ. aniya-), დასრულებული იყო თუ არა ფირფიტა, იწერებოდა თუ არა იგი მეფის ბრძანებით და ა.შ. ასევე აღინიშნებოდა, იყო თუ არა იგი ასლი ძველი ფირფიტისა, ვისი ზედამხედველობის ქვეშ იწერებოდა და ა.შ. მოკლე წერილებში ან პირად წერილებს კოლოფონი არ ერთვოდა. საინტერესოა, რომ ჩვენამდე მოაღწია ასევე წერილების ე.წ. „მაბლონებმა“, ანუ მწერლების „სავარჯიშო ტექსტებმაც“. ეს მწერლები მოხსენიებული არიან, როგორც ხეთ. ḫaligatalla- ასევე შუმ. DUMU KIN (= აქად. māṛ šipri) და LÚ ṬĒMI (აქად. awil ṭēmi). მწერალი, რომელიც მეფის წერილებს წერდა, მასთან ერთად მოგზაურობდა. იგი სავარაუდოდ რამდენიმე ძველადმოსავლურ ენას ფლობდა და უმთავრესად კი, აქადურს, რომელიც მაშინდელ ლინგვა ფრანკად ითვლებოდა. ლაშქრობაშიც კი, რათა საჭიროების შემთხვევაში დაეწერათ წერილი ან გაეგზავნათ. მოგზაურობისას მაცნეები მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ, არ იყო გამორიცხული, რომ მტრის ან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ისინი მოეკლათ ან შეეპყროთ, მითუმეტეს, რომ მათ თან უმეტესად ძალიან ძვირფასი საჩუქრები და მნიშვნელოვანი ცნობები მიჰქონდათ. უსაფრთხოების მიზნით ხშირად ისინი უერთდებოდნენ გრძელ სავაჭრო ქარავნებს, მეტიც, თავად ვაჭრებიც კი ითავსებდნენ მაცნეების როლს. ხშირად სამეფო მაცნეებს შეიარაღებული დაცვა ახლდა თან, ვინაიდან გზა ძალიან შორი და საშიში იყო, ხშირად მკითხავენ იმახებდნენ (გზის დასალოცად?). მეფეები ძალიან უფრთხილდებოდნენ მაცნეებს. ცივი ზამთრის, დიდთოვლობის დროს, მაცნეები გაზაფხულს დაელოდებოდნენ და ისე გაემგზავრებოდნენ პასუხის მოსატანად. თუ ქვეყნები თანასწორნი იყვნენ, კორესპონდენცია შეიცავდა საჩუქრების გაცვლას, სამეფო ქორწინებებს, სტუმრობის დაგეგმვას, ქარავნების დაცვას და ა.შ. თუკი ქვეყნები არ იყვნენ თანასწორნი, მიმოწერა დამატებით შეიცავდა საზღვრების საკითხებს ან ხარკის თემას. ძირითადად, წერილების ფორმულა შემდეგი სახის იყო: „ასე ამბობს“, გამგზავნის სახელი, მისალმების ფორმულა, მოკითხვა, კეთილი სურვილები. ასევე ხშირად გვხვდება გამოთქმები: „ყველაფერი კარგადაა ქვეყანაში“, ის, რაზეც მწერ“, „დაე, ჩემმა ბატონმა იცოდეს, რომ...“. წერილის დასაცავად ასევე მნიშვნელოვანი იყო კონვერტი (IM.GUR/imgurru, IM.ŠU/imšukku, ermum ša ṭuppri).

## წერილები

### 1. ხათუსილი I - თიქუქანის მმართველ თუნიფ-თემუბს

წერილში აღწერილი ისტორიული ცნობებით ირკვევა, რომ ავტორი ხათის სამეფოს იმპერიამდელი პერიოდის ერთ-ერთი პირველი მეფე ხათუსილი I, იგივე ლაბარნა II-ა, ადრესატი კი ხეთების ვასალი - ჩრდ. მესოპოტამიაში არსებული სამეფოს თიქუნანის ერთ-ერთი ხურიტი მმართველი თუნიფ-თემუბია (წერილში იგი შემოკლებული სახელით - თუნიათიად არის მოხსენიებული. ქალაქ-სახელმწიფო თიქუნანი/თიგუნანუმი - ქ. მარის

ტექსტებში გვხვდება ქ.წ. XVIII საუკუნიდან<sup>1</sup>. სად მდებარეობდა თიქუნანი ზუსტად არ არის დადგენილი, სავარაუდოდ, აღმოსავლეთ ან ზემო ევფრატზე, მის მარცხენა სანაპიროზე (თან. თურქეთი)<sup>2</sup> მიჰრიას ქვეყანასთან ახლოს (სირიაში)<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, ხათუსილიმ გადაწყვიტა სირიის გზას დასდგომოდა. თუნია ამ დროისთვის უკვე ხათუსილის ვასალია და ხეთების მეფე ცდილობს შეახსენოს თუნიას ვასალის ვალდებულებანი და დაეხმაროს ხეთის ჯარს სირიაში წარმოებულ დაპყრობით ომებში<sup>4</sup>. და ეს წერილი სწორედ თუნიასთან კავშირის დამყარებას ეხება.

*1-3. თუნიას, ჩემს მსახურს, ასე უთხარი: ასე ამბობს ლაზარნა, დიდი მეფე:*

*4-7. შენ ჩემი მსახური ხარ. შენ მე დამიცავი და მე დაგიცავ შენ, როგორც მსახურს. ქ. თიქუნანი ჩემი ქალაქია, შენ ჩემი მსახური ხარ და შენი ქვეყანა ჩემი ქვეყანაა. მე შენ აუცილებლად დაგიცავ.*

*8-15. მე გზას გავუდექი. შენ კი პატივით მოეპყარი ქ. ხახუელ კაცს. მისი საკვები ძაღლივით მიიღე. შენად იგულე ხარები, რომლებსაც აიღებ. შენად იგულე ცხვრები და თხები, რომლებსაც აიღებ. პატივი ვცეთ მას - მე აქედან და შენ მანდედან.*

*16-23. ეხლა კი გამომიგზავნე რკინა და ლომი, რომელიც შევიტყვე, რომ ქ. ნიხრიადან წამოვიღია! და რაც კი მოისურვო და რამდენიც მოისურვო, მამცნე და გამოგიგზავნი - ვერცხლი იქნება თუ ცხენები. და, ჩემო ძვირფასო მსახურო, ჩემო ... მსახურო, (ყველაფერს) გამოგიგზავნი.*

*24-38. როდესაც ქ. ცალფას<sup>5</sup> მივალწევ, ბულითადი და შენი მსახური გამომიგზავნე. თუკი იქ ცოტა თუ არის რამე რქა/ძვალი (და?) ხის (მასალა), გამომიგზავნე. თუ (იქნება) ცხენის ძუა/ფაფარო, თეთრი ან შავი, გამომიგზავნე ისინი. მის ცრუ სიტყვებს ყურს ნუ დაუგდებ. ხარის რქების და ლომის მხარეს დადექი, არ დაიჭირო მელას<sup>6</sup> მხარე. მელა, რომელიც ასეთ ტყუილებს სჩადის, ცრუობს და ცალფელებივით იქცევა.*

*39-40. ნუ უგდებ ყურს მარჯვნიდან ან მარცხნიდან. ჩემს სიტყვებს დაუგდე ყური.*

<sup>1</sup> De Zorzi, N. (2017a), 125–50; De Zorzi, N. (2017b), 11–18; Justel, J. J. (2018). 117–128. <https://en.wikipedia.org/wiki/Tikunani>; თიქუნანი გვხვდება სხვადასხვა ტექსტებში, ამის შესახებ იხ. Wilhelm G./Akdogan R. (2010), 159-162.

<sup>2</sup> Charpin D., (2000), 63-64.

<sup>3</sup> თუმცა არსებობს სხვა ვარაუდიც, რომ იგი მდებარეობდეს ტიგროსზე დიარბექირის მიდამოებში, სავარაუდოდ, თან. ბისმილთან, ან თურ-აბდინის სამხრეთით, რაც ასურელ ვაჭრებს დასავლეთთან აკავშირებდა, De Zorzi N. (2017a) 126; De Zorzi N. (2017b) 11-18.

<sup>4</sup> საინტერესოა, ხათუსილი III-ს წერილი კადაშმან ეწვია - ხომ არ უკავშირდება ამ წერილს? თუმცა, მიღებულია, რომ წერილში მოქმედება ხდება ქ.წ. მე-17 ს-ში.

<sup>5</sup> ტექსტში ნახსენები ქ. ცალფა სავარაუდოდ არ არის ის ცალფა, რომელიც ივარაუდება შავი ზღვის სანაპიროზე, ქ. სამსუნთან ახლოს. იგი მდებარეობდა ჩრდ. სირიაში, თან. ბირეჟკთან, იხ. ლამბაშიძე მ. (2006), ასევე Гамбашидзе М., (2003) 103-104. ანალებში ხათუსილი ჰყვება ამ ქალაქის დაპყრობის ამბავს.

<sup>6</sup> zappi ANSE.KUR.RA

<sup>7</sup> მელია - სავარაუდოდ ხურიტების აღმნიშვნელი მეტაფორაა, შდრ. Context in Scripture (1997):195 [§14].

## 2. ხეთების მეფე სუფილულიუმა I - ეგვიპტის ფარაონს

ვარაუდობენ, რომ ამ წერილის<sup>8</sup> ადრესატი უნდა ყოფილიყო ან ამენჰოტეპ IV<sup>9</sup>, ან ახენატენი, ან ტუტანხამონი<sup>10</sup>, ან სმენხკარე. ხეთების მეფე ეგვიპტის ფარაონს უწოდებს „ჩემს ძმას“ (ŠEŠ- YA), რადგან მას თანაბარი რანგის „დიდ მეფედ“ მიიჩნევს. სუფილულიუმა ხშირად აღნიშნავს მის მეგობრულ ურთიერთობას წინამორბედ ფარაონთან, ანუ მოქმედი ფარაონის მამასთან (*abū/i-ka* 7, 8, 10 და ა.შ.), ხოლო ახალ ფარაონს მიმართავს, რომ მან გააგრძელოს ასეთივე კარგი ურთიერთობა და მისი წინამორბედის მიერ მიცემული ნებისმიერი შეუსრულებელი დაპირებანი. სუფილულიუმა შემდეგ აღწერს საჩუქრებს, რომლებსაც წინამორბედი დაჰპირდა - ოქროს, ვერცხლის და ლაჟვარდის ქანდაკებებს და სთხოვს, რომ ისინი სასწრაფოდ გაუზავნონ. სანაცვლოდ, ის აღწერს თავის საჩუქრებს ფარაონისთვის (*ana šulmāni-ka*), რომელიც თან ახლდა ამ წერილს. „სამეფო ძმებს“ შორის ძვირადღირებული საჩუქრების გაცვლა საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობის ფორმა გახლდათ.

1-3. [ასე ამბობს მისი უდიდებულესობა], სუფილულიუმა, დიდი მეფე, [მეფე ხათის ქვეყნისა: ასე უთხარი ხურას, ეგვიპტის მეფეს:

4-6. [ჩემსკენ ყველაფერი] კარგადაა. დაე, შენთანაც ყველაფერი ასევე კარგად იყოს. [შენს ცოლებთან], ვაჟებთან, შენს სახლელულთან, ლაშქართან [და] შენს ქვეყანაში დაე, ყველაფერი კარგად იყოს.

7-13. არც ჩემი მაცნეების (ფირფიტა), რომელიც მე შენს მამას გამოვუგზავნე, არც ის თხოვნა, რომელიც მამაშენმა შემომთავაზა: „დაე, დიდი მეგობრობა დავამყაროთ ჩვენს შორის“ - ხომ არ უარმიყვია? რაც კი მამაშენმა შემომთავაზა, მე ყველაფერი მართლაც შევასრულე და ჩემს მოთხოვნაზეც, რომელიც მამაშენს გავუგზავნე, უარი არ უთქვამს, მან ყველაფერი სრულიად მომცა.

14-15. ჩემო ძმაო, რატომ შეაჩერე საჩუქრების გამოგზავნა, რომლებსაც მამაშენი მიგზავნიდა, სანამ ცოცხალი იყო?

16-22. ეხლა, ჩემო ძმაო, მამაშენის ტახტზე დაჯექი, როგორც მე და მამაშენი ვუგზავნიდით ერთმანეთს მისასალმებელ საჩუქრებს, დაე, ამიერიდან შენ და მე ვიყოთ ერთმანეთთან კარგ ურთიერთობაში. თხოვნა, რომელიც მამაშენს გამოვუგზავნე, ეხლა ჩემს ძმასაც ვუგზავნი. დაე, ქორწინებით დავუკავშირდეთ ერთმანეთს.

23-28. [შენ], ჩემო [ძმაო], არ დამიკავო არაფერი, რაც მამაშენს ვთხოვე. [რაც შეეხება ორ ოქროს ქანდაკებას, ერთი მდგომარე უნდა იყოს, მეორე - მჯდომარე. დაე, ჩემმა ძმამ [გამომიგზავნოს] ორი ცალი ქალის [ვერცხლის] ქანდაკება და მათი დასადგამი ადგილისთვის ბევრი ლაჟვარდი<sup>11</sup>.

29-38. [...] თუ ჩემს ძმას [სურს მიცემა], მისცეს ჩემმა ძმამ. [ხოლო] თუ ჩემს ძმას არ სურს მათი მიცემა, როცა ჩემი ეტლები მზადდება ... ხუცის ტილოს ნაჭერი<sup>12</sup>, მე დავუბრუნებ მათ ჩემს ძმას. რაც გინდა ძმაო, მომწერე რომ გამოვიგზავნო.

<sup>8</sup> (ქ.წ. XIV ს.) EA 41, Cairo Museum 4747; Hoffner H. A., (2009) 277-279; Moran W. (1992); Liverani M. (1998) 410-411; Schwemmer D., (2006) 190-191.

<sup>9</sup> Liverani M. (1998), 410 N. 12; Miller (2006).

<sup>10</sup> Houwink ten Cate (1963).

<sup>11</sup> NA4ZA.GIN

<sup>12</sup> GAD<sup>huzzi-</sup>

39-43. მე გამოგიგზავნი მოსალოც საჩუქრებს: ირმის ფორმის 1 ვერცხლის ჭურჭელს<sup>13</sup>, რომელიც 5 მინას იწონის; ვერძის ფორმის 1 ვერცხლის ჭურჭელს<sup>14</sup>, რომელიც 3 მინას იწონის; 2 ვერცხლის დისკოს<sup>15</sup>, რომლებიც 10 მინას იწონიან, (და) 2 დიდ სამკურნალო მცენარის ბუჩქს<sup>16</sup>.

### 3. ხეთების მეფე სუფილულიუმა I- უგარიტელ ნიქმადუ II-ს

სუფილულიუმა I-მა ეს წერილი გაუგზავნა უგარიტის მეფე ნიქმადუს, სანამ მისი ჯარები სირიას შეუტევდნენ. დიდი მეფე აქ ცდილობს აიძულოს უგარიტის მმართველი შეუტეოს ხათის მეფეს. ამასთან ერთად, მას ამ ქვეყნიებიდან ტყვეებს დაჰპირდა. ფაქტობრივად, ნიქმადუმ არ გარისკა წასულიყო მეზობლების წინააღმდეგ, ამის ნაცვლად იგი მხოლოდ მას შემდეგ შევიდა ხეთების ბანაკში, რაც ნუხაშისა და მუქიშის მეფეები დაეცნენ უგარიტს. წერილის დასასრულს სუფილულიუმას მიერ შეთავაზებული ხელშეკრულება მართლაც დაიდო<sup>17</sup>.

1-2. ასე ამბობს ჩემი უდიდებულესობა, დიდი მეფე. უთხარი ნიქმადუს:

3-18. რადგანაც ნუხაშის ქვეყანა და მუქიშის ქვეყანა მტრულად არიან განწყობილნი ჩემს მიმართ, ნიქმადუ მათ არ უნდა მიემხროს. შენ, ნიქმადუ, ირწმუნე შენი თავი! როგორც ადრე, შენი წინაპრები მშვიდობაში იყვნენ ხათის ქვეყანასთან და არ იყვნენ მტრულად განწყობილნი, ახლა შენ, ნიქმადუ, ასევე მტრულად უნდა განეწყო ჩემი მტრების მიმართ და ჩემი მეგობრის მიმართ მშვიდობიანად. და თუკი შენ, ნიქმადუ, გაიგონებ და დაიცავ დიდი მეფის, შენი ბატონის ამ სიტყვებს, შენი მაშინ დიდი მეფე, შენი ბატონიც კეთილად განეწყობა შენს მიმართ.

19-29. ახლა შენ, ნიქმადუ, ხათისთან უნდა დადო მშვიდობიანი ხელშეკრულება. მომავალში შენ ნახავ, როგორ ეპყრობა დიდი მეფე ნუხაშის ქვეყნის მეფეებს და მუქიშის ქვეყნის მეფეებს, რომლებმაც დაარღვიეს ხათის ქვეყანასთან დადებული მშვიდობიანი ხელშეკრულება და მტრულად განეწყვნენ დიდი მეფის, მათი ბატონის მიმართ. მომავალში შენ, ნიქმადუ, უნდა ენდო დიდი მეფის, შენი ბატონის სიტყვებს.

30-34. და თუკი ყველა მეფე გადაწყვეტს, რამხელა ჯარიც ჰყავთ, იმით შემოუტეონ შენს ქვეყანას, არ შეშინდე! სასწრაფოდ გამომიგზავნე შენი მაცნე. დაე, მოვიდნენ!

35-52. და თუკი, შენ, ნიქმადუ, შენ თვითონ შეუტევ ნუხაშის ქვეყნის ან მუქიშის ქვეყნის ლაშქრებს შენი ლაშქრით, არავინ წაგართმევს მათ. ან თუ ნუხაშის ქვეყნის ჯარების არარსებობის შემთხვევაში, მუქიშის ქვეყნის ჯარები შემოვლენ შენს ქვეყანაში ლტოლვილებად, არავინ წაგართმევს მათ. ან თუ შენი ქვეყნის ქალაქები მტრულად განეწყობიან შენს მიმართ და შენ შეებრძოლები მათ და დაამარცხებ არავინ წაგართმევს მათ. ან თუ შესაძლოა მომავალში დიდმა მეფემ დაამარცხოს ეს მეფეები, მაშინ დიდი მეფე გადმოგცემს ხელშეკრულების დაბეჭდილ ფირფიტას.

<sup>13</sup> KÜ.BABBAR UDU.<A>LUM ÁÁ

<sup>14</sup> KÜ.BABBAR UDU.ŠIR

<sup>15</sup> KAKKARUKÜ.BABBAR

<sup>16</sup> <sup>G18</sup> NIKIPTUM RABUTIM ULTEBILAKU

<sup>17</sup> Beckman G., (1999) 119-120; დამბაშიძე მ. (2012), 121-140.

#### 4. ქარხემიშელი შარი-ქუმუხი – უგარიტელ ნიქმადუ II-ს

როდესაც<sup>18</sup> მურსილი II-ს მეფობის დასაწყისში სირიაში ხეთების იმპერიის დიდი ნაწილი აჯანყდა, მისმა ძმამ და ქარხემიშის მეფე შარი-ქუმუხმა მისწერა უგარიტის მეფე ნიქმადუს (რომელიც ერთგულებას ეფიცებოდა შარი-ქუმუხს, იმის მიუხედავად, რომ უგარიტის მიწები სავარაუდოდ დაპყრობილი ჰქონდა ქარხემიშს) და მოუწოდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით შეუტოს თავის მეზობელ ნუხაშის ქვეყნის მეფე თეთეს, რადგანაც იგი აუჯანყდა ქარხემიშის ქვეყანას. ტექსტზე დასმული საბეჭდავის მიხედვით ვიგებთ, რომ წინამდებარე ტექსტი ასლია ორიგინალი ფირფიტისა, რომელიც შარიქუმუხის შვილიშვილის ინი-თემუხს შეუსრულებია.

*1-19. ასე ამბობს (ქარხემიშის) მეფე: როცა ნუხაშის ქვეყნის მეფე მტრობდა, მივწერე ნიქმადუს: თუ თეთესთან ომს დაიწყებ და შენ, ნიქმადუ, თავად შეუტევ, სანამ მე მის ქვეყანას მივუახლოვდები, თუ შენ ნუხაშის ქვეყნის - თეთეს ქვეყნის გულს შეუტევ, რასაც ნიქმადუ ხელთ ჩაიგდებს [თავისი ლაშქრით], და რომელი ლაშქარიც შენ...? მის ქვეყანაში ლტოლვილად, დაიტოვე ისინი. თუ მომავალში თეთე მოითხოვს თავის ქვეშევრდომებს, ნიქმადუ არ დაუბრუნებს არც ერთ მათგანს. თუ ნიქმადუ არ დაიწყებს ომს თეთესთან და არ შეასრულებს ჩემს სიტყვებს, მაშინ ეს შეთანხმების ფირფიტა გაბათილდება.*

*20-23. მეფის ბაბუის ეს ფირფიტა დაბეჭდილი იყო, მაგრამ გატეხილი. ახლა მეფე ინი-თემუხმა მეორედ დაბეჭდა მისი შემცვლელი.*

#### 5. სეხას მდინარის მეფე მანაფა-თარხუნთა – ხეთების მეფე მუვათალი I-ს

ტექსტი<sup>19</sup> შედგენილია მდ. სეხას სამეფოს მეფის მანაფა-თარხუნთას მიერ. სეხას სამეფო ანატოლიის დასავლეთით მდებარეობდა და ე.წ. არცავას მიწებს ეკუთვნოდა. მას ეკავა, რომელიც მილავათას ან მილავანდას (=მილეტოს) ჩრდილოეთით მდებარე ერთ-ერთი მდინარის ხეობა<sup>20</sup>. ტექსტის დამატებითი ფირფიტებიდან ვიგებთ, რომ ვილუსასკენ მიმავალ გზაზე ხეთების ლაშქარს უნდა გაევიდა მდინარე სეხას მიწაზე. სავარაუდო მარშრუტის გათვალისწინებით, ვილუსა სავარაუდოდ მდებარეობდა მდინარე სეხას ჩრდილოეთით. ვილუსასთან ახლოს იყო ოფშორული კუნძული ლაცვა (ლესბოსი).

მანაფა-თარხუნთამ მურსილი II-ის მეფობის პირველ დღეებშივე დაარღვია ხათისთან ერთგულების პირობა. მაგრამ ბოლო წუთში დანებდა ხეთებს და ამით აიცილა მათი შურისგება, ვინაიდან განრისხებულმა მურსილიმ ხეთების არმია მისი ქალაქის კარიბჭეს მიაყენა და ასაღებად ემზადებოდა. როდესაც მანაფა-თარხუნთას დედა ქალაქიდან გამოვიდა და შვილის სახელით წყალობა სთხოვა, მურსილიმ იგი დაინდო და აღარ იძია შური, ოღონდ კიდევ ერთხელ დაუდასტურა ხეთების სამეფოს ვასალის სტატუსი მანაფა-თარხუნთას და ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. თუმცა, რაც დრო გადიოდა, მანაფა-თარხუნთა სულ უფრო ნაკლებად ემსახურებოდა ხეთების ინტერესებს. მურსილის მემკვიდრის მეფობის დასაწყისში მუვათალიმ, მანაფა-თარხუნთამ

<sup>18</sup> Beckman G., (1999) 120-121; დამბაშიძე მ. (2012), 121-133.

<sup>19</sup> VAT 7454 + Bo 2561 + 1481/u.; Hoffner (2009) 293-296; Houwink ten Cate (1983-1984), 38-64. Heinhold-Krahmer (1977), 173-75, 208, 210, 222-23, 309; 1983, 85, 93; 1999, 580; 2004, 37-38.

<sup>20</sup> სავარაუდოდ, ეს მდინარე უნდა ყოფილიყო კაიკოსი ან ჰერმოსი, ან მანანდრი, Gurney O.R. (1992), 220-21.



დამამცირებელი მარცხი განიცადა ფიამარადუს ხელში, რომელმაც მასზე ზედამხედველობით დააყენა მილაგანდას ატფა.

ფრაგმენტული შინაარსიდან ვიგებთ, რომ ხეთების ლაშქარმა მიაშურა იმ ადგილს, სადაც გაუმკლავდნენ საფრთხეს ვილუსაში - უნდა ყოფილიყო ან ადგილობრივი აჯანყება ან თავდასხმა ვილუსაზე, როცა იგი ცდილობდა ხათის ერთგულების ვალდებულებისგან თავის დახსნას. მანაფა-თარხუნთა თავს იმართლებს იმით, რომ ავადმყოფობის გამო მონაწილეობა არ მიიღო ხეთების მხარეს ვილუსას წინააღმდეგ ბრძოლაში.

1. მის უდიდებულესობას, ჩემს ბატონს უთხარი! ასე ამბობს მანაფა-თარხუნთა, მენი მსახური!

2. დღეისათვის ყველაფერი მშვენივრადაა ქვეყანაში.

3-6. ...მოვიდა... და თან მოიყვანა ხეთის ლაშქარი. მაშინ ისინი ... ვილუსას ქვეყანაში უკან დაბრუნდნენ გასალაშქრებლად. მე კი ავად ვარ, გვარიანად ავად ვარ, ავადმყოფობამ დამანგრია!

7-35. როდესაც ფიამარადუმ დამამცირა და ათფა თავს დამაყენა, იგი თავს დაესხა ლაცვას ქვეყანას და მეწამულის მღებავი ვინც ჩემი იყო, უკლებლივ ყველა მის მხარეს გადავიდა. მისი უდიდებულესობის მეწამული-ს მღებავიც მის მხარეს გადავიდა უკლებლივ ყველა<sup>21</sup>. და X-X-ხუხა, შინაური და სუფრის კაცი, რომელიც დადგენილი იყო იმისათვის, რომ მეწამულების მღებავები დაებეგრა, X-X-ხუხამ ეს გააკეთა, რომ შეხვედროდნენ მას. თუმცა, X-X-ხუხამ (და) მეწამულის მღებავებმა მიმართეს თხოვნით ატფას შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ მეწამულის მღებავები ვართ? (ხეთების მეფეს?) და გადავედით ზღვაზე. მოდით, წინასწარ (ჩვენი) იისფერი შეღებილი ნივთები! შიგაუნა აჯანყდა, მაგრამ ჩვენ არაფერი გავაკეთეთ!" და როდესაც მათ შეღებეს თავიანთი მეწამული ნივთები, ათფამ არ შეასრულა ისინი. ის მათ დაუშვებდა წადი სახლში, მაგრამ ფიამარადუმ შიგაუნა გაგზავნა მასთან და უთხრა მას ასე: „ქარიშხლის ღვთაებამ მოგმადლა სიკეთე, (ახლა) რატომ უნდა დააბრუნო ისინი?" როცა ათფამ თავის მხრივ ფიამარადუს სიტყვა გაიგო, არ დამიბრუნა ისინი. მაგრამ ახლა, როდესაც ქასუ აქ ჩამოვიდა, ქუფატა-ლამამ გაგზავნა ათფას: „მისი უდიდებულესობის მეწამულის მღებავები, რომლებიც (თქვენთან ერთად) იქ არიან, სახლში გაუშვით! და მან (=ათფამ) გაუშვა მეწამულები, რომლებიც ღვთაებებს (=ტადრებს) და მის უდიდებულოსეობას და ყველა (მათი) გამონაკლისის გარეშე ... ბატონო ჩემო ... მე ისევ დავარბიე სახლში. ხოლო ქუფატა-ლამამ შემდეგი მომწერა: „ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც შენ მითხარი, „დაწერე ათფას მეწამულების შესახებ!" ათფას მივწერე მეწამულ მღებავებზე!" ... მან უნდა/გააკეთა... კალათ-მქსოველები. ქუფატა-ლამამდე...

## 6. მეფე მასხუილუვა - მურსილი II-ს

წინამდებარე ტექსტის<sup>22</sup> ავტორია ხეთების ვასალი, მირა-ქუვალის<sup>23</sup> მმართველი მასხუილუვა (ქ.წ. მე-14 ს.). ტექსტი ნაპოვნია ხათუსაში, სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მასხუილუვას შესახებ ჯერ კიდევ სუფილულიუმა I-ის მეფობიდან ვიგებთ, რომ მას ხათუსაში გაჩაღებული ინტრიგების შედეგად, მოუწია სამშობლოდან დასავლეთ ანატოლიაში გაქცევა. მასხუილუვა ხათში მიესალმა სუფილულიუმა I-ს, რომელმაც მას ასევე ცოლად მისცა

<sup>21</sup> სავარაუდოდ, სოციალური კლასი, CAD 16 (1962) 111.

<sup>22</sup> KBo 18.15, Hagenbuchner (1989b) 367-369; Beckman G. (1999), N 26?, 143, Hoffner H., (2009) N 103, 321.

<sup>23</sup> მირა-ქუვალის არცაგას ქვეყნის ნაწილი და მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში.

ხეთელი მეფის ასული. თუმცა, ის დარჩა. მურსილი II-ს, რათა დაეყენებინა მასხუილუვა მირაქუვალისას ვასალური სამეფოს მმართველად.

1. ასე უთხარი მის უდიდებულესობას, ჩემო ბატონო: ასე ამბობს მასხუილუვა, შენი მსახური: ფაზუ ცოტა ხნის წინ ავად გახდა და მისმა წინაპარმა ღვთაებებმა დაიწყეს მისი შეწუხება. მე ახლახან გავგზავნე იგი (უკან ხათში) თავისი წინაპრების ღვთაებების თაყვანისმცემლად. როდესაც ის დაასრულებს ღვთაებების თაყვანისცემას, დაე, ჩემმა უფალმა დაუყოვნებლივ გამოგზავნოს იგი. დაე, ჩემმა ბატონმაც გამოჰკითხოს იგი ჩემი მიწის საქმეების შესახებ.

## 7. ფარაონი ამენფოტე III - არცავას მეფე თარხუნთა-რადუს

ტექსტი ცნობილია ამარნას არქივიდან<sup>24</sup>: ეგვიპტის ფარაონისა და არცავას მეფის მიმოწერა ეხება ფარაონსა და არცაველი მეფის ასულის სამეფო ქორწინებას.

1–6. ასე ამბობს ნიმფარია, ეგვიპტის 9 დიდი მეფე, მეფე: თქვი თარხუნთა-რადუს, არცავას მეფეს: ჩემთან მშვიდობაა. ჩემი სახლები, ჩემი ცოლები, ჩემი შვილები, ჩემი დიდებულები, ჩემი ჯარი, ჩემი ეტლი, ლაშქარი, ჩემი ქონება - ყველაფერი, რაც ჩემს მიწაზეა - ყველაფერი კარგადაა.

7–10. დაე, შენთანაც ყველაფერი კარგად იყოს. შენი სახლები, ცოლები, შვილები, დიდებულები, ჯარი, ეტლები, ლაშქარი, ქონება - ყველაფერი, რაც შენს მიწაზეა, დაე, ყველაფერი კარგად იყოს.

11–16. მე გამოგიგზავნე ირშაფა, ჩემი მაცნე (და თან) ეს დავაბარე: „გვანახეთ ქალიშვილი, რომელსაც ჩემს უდიდებულესობას დასაქორწინებლად გამოუგზავნიან. დაე, ზეთი ცხო მას თავზე. ასევე, იქნებ ერთი კარგი ხარისხის ტყავის ქისების ნაკრები გამოგიგზავნო ოქროსთვის“.

17–21. ხოლო რაც შეეხება საზეიმო სამოსს, რომლის შესახებაც მომწერე, ამას გეტყვი: „გამომიგზავნე!“ (რასაკვირველია), გამოგიგზავნით, მაგრამ მოგვიანებით. სწრაფად გამოგიგზავნე შენი მაცნე ჩემს მაცნესთან ერთად და დაე მოვიდნენ ისინი.

22–26. შემდგომ ისინი - ჩემი მოციქული და შენი მაცნე, ვინც მოვიდა და... დაადგენს (შენი) ქალიშვილის ფასს... და (ასევე) გამოგიგზავნე ქასქას მიწის ხალხი... გაიგე, რომ ყველაფერი დასრულდა

27–38. და რომ ხათუსას მიწა განადგურდა? ჩვენი კეთილი ურთიერთობის ნიშნად გამოგიგზავნეთ საჩუქარი ჩემი მაცნეს ირსაფას ხელით: ტყავის ქისები 20 მინა ოქროთი სავსე, 3 გამჭვირვალე სელის სამოსი, 3 გამჭვირვალე სელის მოსაცმელი, 3 სელის ხუზი, 8 სელის კუმიტი, 100 ვალგა-სელი, 100 სელის ხაფა..., 100 სელის ფუთალიასა, 4 დიდი ქვის ქილა სურნელოვანი ზეთით, 6 პატარა ქვის ქილა სურნელოვანი ზეთით, 3 ლამაზი აბონის გვარედინფეხა სკამი ოქროთი გადაკრული, 10 სკამი სპილოს ძვლით გაწყობილი, 100 ...

<sup>24</sup> VBoT 1 = EA 31; Hoffner H. A (2009) 95, 273.

## 8. ეგვიპტის ფარაონი ამენხოტე III - ზაზილონის მეფე კადაშმან ენლილს

წერილის ადრესატია ამენხოტე III (ქ.წ. XIV ს.), ეგვიპტის ერთ-ერთი გამორჩეული ფარაონი. წერილი ამარნას არქივიდანაა ცნობილი<sup>25</sup>.

1-9. ასე უთხარი ჩემს ძმას, კადაშმან-ენლილს, ქარადუნიშეს მეფეს: ამას (გწერს) ნიბმუარეა<sup>26</sup>, დიდი მეფე, მეფე ეგვიპტისა, შენი ძმა. ჩემსკენ ყველაფერი კარგადაა. დაე, შენსკენაც ყველაფერი კარგად იყოს. დაე, შენი სახლეულობა, შენი ცოლები, ვაჟები, თავადები, შენი ცხენები, ეტლები, შენი ქვეყნები, ყველა კარგად იყოს. ჩემსკენ ყველაფერი კარგადაა, ჩემი სახლეულობა, ჩემი ცოლები, ჩემი ვაჟები, ჩემი თავადები, ჩემი ცხენები, მრავალრიცხოვანი ლაშქარი, ჩემთან ყველაფერი კარგადაა.

10-17. ახლახანს შევიტყვე, რაც შენ მომწერე: „ჩემი ქალიშვილის ცოლად თხოვნის შესახებ მეკითხები, მაგრამ ჩემი და, რომელიც მამაჩემმა გამოგატანა (ცოლად), არავის უნახავს იგი, ცოცხალია თუ მკვდარია“. ეს მომწერე შენ, რაც შენს ფირფიტაზე ეწერა. მაგრამ ვინმე დიდებული თუ გამოგოგ ზავნიათ ოდესმე, ვინც იცნობს შენს დას, ვისაც მასთან საუბარი და მისი ამოცნობა შეეძლო?

17-21. დავუშვათ, რომ იგი ესაუბრა მას. ის კაცები, რომლებიც აქ გამოაზავნეთ, არავინ არის მისი მცნობი, ერთი იყო ზაქარა, მეორე კი - ??? ... მათ შორის არცერთი არ იყო, რომელსაც შეეძლო მისი ცნობა.

21-25. უფრო მეტიც, მაცნეები, [რომლებიც] ...

26-32. ხოლო რაც შეეხება შენს წერილს, „შენ მიუგე ჩემს მაცნეებს, რომ შენი ცოლები ერთად იდგნენ შეკრებილნი შენი თანდასწრებით და შენ გამოაცხადე: „აი, შენი ბედი დგას შენს წინაშე“. მაგრამ ჩემმა მაცნეებმა ვერ იცნეს იგი, ჩემი და იდგა თუ არა შენს გვერდით - ეხლა რომ მწერ. „ჩემმა მაცნეებმა ვერ იცნეს იგი, ჩემი და იყო იგი, ვინც შენს გვერდით იდგა და შენ ისევ ამბობ „ვინ უნდა იცნოს იგი?“

32-36. რატომ არ გამოაგ ზავნი შენს დიდებულს, ვისაც შეუძლია გითხრათ სიმართლე, რომ შენი და, რომელიც აქაა, კარგადაა, და შენ შეგიძლია დაიჯერო, რომ ვინმემ ნახა იგი თავის სახლში და ნახავს მის ურთიერთობას მეფესთან?

36-42. და როგორც შენ მწერ: „შეიძლება ერთ-ერთმა ჩემმა მაცნემ ნახა ვინმე ღარიბის ქალიშვილი, ან ვინმე ქასქელის, ან ვინმე ხანიგალბათელის ქალიშვილი, ან ვინმე უგარიტელის. ვინ დაუჯერებს მას? ის, ვინც შენს გვერდით იყო..., მან არაფერი არ თქვა (= ენა არ დაძრა). არავინ დაუჯერებს მათ. ესაა შენი სიტყვები.

43-52. ხოლო თუ შენი [და] გარდაცვლილია, რა უნდა იყოს მიზეზი მისი გარდაცვალების ამბის დამალვისა და სხვისი ჩვენებისა? დაე, ... იყოს ჩემი მოწმე ...

52-62. ხოლო რაც შეეხება იმას, რასაც შენ მწერ: „ჩემი ქალიშვილები, რომლებიც მეზობელ მეფეებზე არიან დაქორწინებულნი, თუკი ჩემი მაცნეები მივლენ მათთან, და ესაუბრენ მათ და მათ მოსალოცი საჩუქარი მოაქვთ ხოლმე. შენთან ერთად ... შენი სიტყვები. უეჭველად შენი მეზობელი მეფეები მდიდრები და ძლიერები არიან. შენს ქალიშვილებს შეუძლიათ მათგან მიიღონ საჩუქრები და გამოგოგ ზავნონ. ხოლო რა აქვს შენს დას, რომელიც ჩემთანაა? თუ რამე შეიძინა, გამოგოგ ზავნი? რა ჯობია იმას, რომ შენს ქალიშვილებს შენი მეზობლებისგან შესაძენად? ... ოქროს აძლევ?“

<sup>25</sup> VBoT 1 = EA 31; Hoffner H. A (2009) 95, 273.

<sup>26</sup> ამენხოტე III-ს რამდენიმე სხვა სახელიც ჰქონდა - ნიბმუარეა, მიმურეა, ამენოფისი.

62-77. რაც შეეხება მამაჩემის სიტყვებს, რომელიც შენ მომწერე, ნუ იდარდებ! შენ მისი სიტყვები ზუსტად ვერ გაიგე?? შემდგომ, „ჩვენს შორის მეგობრული ძმობა დაამყარე“ - ეს არის რაც შენ მომწერე. ეხლა ჩვენ ძმები ვართ, შენ და მე, მაგრამ მე გავზრადი შენი მაცნეების გამო, რადგანაც მათ შენ ვითხრეს: „ეგვიპტეში მისულეებს არაფერს არ გვაძლევენ“. ის, ვინც ჩემთან მოვა, მიიღებს ვერცხლს, ოქროს, ზეთს, საზეიმოდ..., ყველა სახის... . ნუთუ იმაზე მეტს იღებს სხვა ქვეყანაში? იგი არ ეუბნება სიმართლეს იმას, ვინც მას აგზავნის! თავდაპირველად მამაშენის მაცნეები მოვიდნენ და მათ მოიტყუეს. შემდეგ კიდევ მოვიდნენ და მათ შენ მოგატყუეს. მაშინ ჩემს თავს ვუთხარი: „ან რამეს მივცემ, ან საერთოდ არაფერს არ მივცემ, რადგან ისევ ტყუილის თქმას აპირებენ“. ასე რომ ჩემს სიტყვაზე დავდექი და არაფერი აღარ მიმიცია მათთვის.

77-88. რაც შეეხება იმას, რასაც შენ მწერ: „შენ ჰკითხე ჩემს მაცნეებს: „თქვენს ბატონს არ ჰყავს ლაშქარი? ქალიშვილი, რომელიც მომცა, უშნოა“ - ეს შენი სიტყვებია (მაგრამ) ეს ასე არ არის! შენი მაცნეები იმას ლაპარაკობენ, რაც არ არის მართალი (აი, ასეთ რამეებს გეუბნებიან). გინდა ნახო, მყავს თუ არა ლაშქარი? რატომ მეკითხები, (გინდა იცოდე) მყავს თუ არა ლაშქარში მეზრძოლები და ცხენები, რომლებიც შენ გეკუთვნის? გემუდარები, ნუ უსმენ მათ! შენი მაცნეები არ არიან სანდონი და ვინც შენ აქ გამოაგზავნე, დავიფიცებ, რომ შენ არ გემსახურებოდნენ, ისინი განაგრძობენ ტყუილების თქმას, რათა თავი დააღწიონ შენს სასჯელს.

88-98. რაც შეეხება იმას, რასაც მწერ: „ჩემი ეტლები ...-ელებს შორის ჩააყენა. შენ ისინი ცალ-ცალკე არ დაგიტვალაიერებია? შენ ისინი დაამცირე იმ ქვეყნის წინაშე, სადაც შენ ხარ. თქვენ ისინი ცალ-ცალკე არ დაგიტვალაიერებია“. თუკი ეტლები აქ ან იქ იყო, ეტლებს სჭირდებოდათ ჩემი ქვეყნის ცხენები - ყველას ჩემი ცხენი სჭირდებოდა. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ქალიშვილს თავს ზეთი ცხე და შენი მხრიდან ერთი საჩუქარი გამომიგზავნე. დადგადრო, რომ ვიმხიარულოთ?

## 9. ეგვიპტის დედოფალი ნაფტერა - ხეთების დედოფალ ფუდუხეფას

რამსეს II-სა და ხათუსილი III-ს მმართველობის პერიოდში (ქ. წ. XIV ს), ეგვიპტისა და ხეთების სამეფო კართა შორის ინტენსიური მიმოწერა მიმდინარეობდა. ადრესატები უმთავრესად, თვითონ ქვეყნის მმართველები იყვნენ, თუმცა, გვხვდება ასევე სამეფო კარის სხვა წარმომადგენელთა კორესპონდენციაც. წერილების უმეტესობა აღმოჩენილია ხეთების დედაქალაქ ხათუსაში. ისინი დაწერილია მაშინდელ საერთაშორისო ენაზე - აქადურად, თუმცა, გვხვდება აგრეთვე დედოფალ ფუდუხეფას მიერ ხეთურად შედგენილი წერილი, რაც სავარაუდოდ, შემდგომში აქადურად უნდა ეთარგმნათ<sup>27</sup>. წერილების მთავარი შინაარსი - ეგვიპტესა და ხეთებს შორის მშვიდობის და ძმობის დამყარება იყო. მიმოწერა წინ უძღოდა დინასტიურ ქორწინებას, როდესაც რამსეს II-მ ცოლად შეირთო ხეთების მეფე ხათუსილი III-სა და დედოფალ ფუდუხეფას ქალიშვილი და ამით ამ ორ დიდ იმპერიას შორის სამუდამოდ განმტკიცდა ერთობა. შესაბამისად, ამ წერილების შინაარსები ავსებენ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული სახის წერილობით წყაროებს და ხელს გვიწყობენ ეგვიპტისა და ხეთების იმპერიის ურთიერთობის უფრო კონკრეტული სურათის დადგენაში.

<sup>27</sup> Beckman G., (1999) 126.

1-2. ასე ამბობს ნაფტერა, ეგვიპტის დიდი დედოფალი: ფუნუხეფას, ხათის დიდ დედოფალს, ჩემს დას უთხარი:

3. მე, შენი და, კარგად ვარ. ჩემი ქვეყანაც კარგადაა.

4-11. დაე შენ, ჩემო დაო, კარგად იყო! დაე, შენი ქვეყანა კარგად იყოს! შევიტყვე, რომ შენ, ჩემო დაო, მეკითხებოდი ჩემი ჯანმრთელობის შესახებ და რომ შენ მწერ მშვიდობიანი ურთიერთობის და კარგი მეგობრობის შესახებ, რომელიც დიდ მეფეს, ეგვიპტის მეფესა და ხათის ქვეყნის მეფეს, დიდ მეფეს, მისი ძმის შორის არის.

12-19. მზის ღვთაებამ და ამინდის ღვთაებამ აგამაღლოს. დაე, მზის ღვთაებამ მშვიდობა დაამყაროს და კარგი ძმობა დიდ მეფეს, ეგვიპტის მეფეს და ხათის ქვეყნის მეფეს, დიდ მეფეს, მისი ძმის შორის. და მე მათ მსგავსად ვიყო მშვიდობაში და ძმობაში შენთან, ჩემო დაო.

20-21. ახლა გიგ ზავნი საჩუქარს ძღვნად მისალმებისა, ჩემო დაო.

22-24. და დაე, შენ, ჩემო დაო, იცოდე იმ საჩუქრების შესახებ, რომელსაც გიგ ზავნი ფარიხნავს, მეფის მაცნის ხელით:

25-26. ერთი ძალიან ფერადი ყელსაბამი კარგი ოქროსი, რომელიც თორმეტი მძივისგანაა გაკეთებული. იგი იწონის 88 შეკელს.

27. ერთი შეღებილი ბისუსის მოსასხამი; ბისონის ერთი შეღებილი ტუნიკა; კარგი თხელი ძაფის ხუთი შეღებილი სელის სამოსი; კარგი წმინდა ძაფის ხუთი შეღებილი სელის ტუნიკა; სულ თორმეტი თეთრეულის სამოსი.

## 10. ხეთი დედოფლის ფუდუხეფას წერილი ეგვიპტის ფარაონ რამსეს II-ს (ხეთ.)<sup>28</sup>

წინა მხარე:

0. ასე ამბობს ფუდუხეფა, დიდი დედოფალი, ხათის ქვეყნის დედოფალი: რეამასესას (=რამსესს), დიდ მეფეს, ეგვიპტის ქვეყნის მეფეს, ჩემს ძმას უთხარი:

1-6. რაც შეეხება იმას, რომ შენ, ჩემო ძმაო შემდეგი მომწერე: „იმ დროს, როდესაც შენი მაცნენი მოვიდნენ, თან მომიტანეს საჩუქრები, (რის გამოც) ფრიად გავიხარე“. როდესაც ეს ვისმინე, მეც ასევე (ფრიად) გავიხარე. შენი ძმის მეუღლე (= ფუდუხეფა, ხათუსილის მეუღლე) ბედნიერად ცხოვრობს. დაე, ჩემი ძმაც ბედნიერად ცხოვრობდეს! გამომიგზავნე... და იქნებ ისინი ლაჟვარდით იყოს შემკული. შემდგომ, ჩემი ქვეყნები ბედნიერად ცხოვრობენ. (დაე), შენი ქვეყნებიც მსგავსად (ბედნიერად) ცხოვრობდნენ! მე ჩემს სალამსა და ჩემს ძვირფასეულობებს გიგ ზავნი. ჩემთან ყველაფერი კარგადაა. დაე, ჩემს ძმასთანაც ასევე იყოს!

7-14. რაც შეეხება იმას, რომ ჩემმა ძმამ მომწერა: „ჩემმა დამ მომწერა: „ჩემს ქალიშვილს მოგცემ (ცოლადა)“, მაგრამ იგი მე არ გამომაყოლე. და შენ კიდევ ჩემზე გაბრაზებული ხარ! რატომ არ გამომაყოლე იგი?“ მე ჩემს ქალიშვილსაც მოგცემ და მზითევსაც, შენ კი უარს არ მეტყვი ამაზე (= მზითევზე) მოგეწონება იგი (ნამდვილად). მაგრამ ამჟამად არ შემიძლია მისი (=ქალიშვილის) მოცემა... როგორც შენ, ჩემო ძმაო, იცი, ხათის ქვეყნის ქონება გადატანილია (თარხუნთასაში)? ხოლო რაც დარჩა, ურხი-თეშუმმა დიდ ღვთაებას მისცა. ვინაიდან ურხი-თეშუმი იქ იმყოფება (= თარხუნთასაში), ჰკითხე, ასე იყო თუ არა ეს (ამბავი). ვის უნდა შევადარო ცისა და მიწის ასული, რომელსაც ჩემს ძმას (ცოლადა) მივცემ? შეიძლება, რომ

<sup>28</sup> ტექსტი: CTH 176 - Bo 2045 + Bo 3975 - KUB 21.38: Edel E., (1994), 216-223 (Nr. 105); Hagenbuchner A., (1989b), 325-327 (Nr. 222); Beckman G., (1999), 131-135 (Nr. 22E); Beckman G., (1983), 109; Hoffner H.A., (2009) 281-290; Cordani V. (2017), 103-112; Gambashidze M., (2017), 33-38.

ბაბილონის, ზულაბისა თუ ასურეთის ქალიშვილს შევადარო? ვინაიდან არ შემიძლია მათ დარად მისი დაქორწინება<sup>29</sup>, მანამდე იგი...

15-16. ნუთუ ჩემს ძმას არაფერი აბადია? თუ მზისა და ამინდის ღვთაებათა ძეს არაფერი აბადია და ზღვაც არ აქვს, შენც არაფერი არ უნდა გებადოს? ასე კი, ჩემო ძმაო, გასურს გამდიდრდე ჩემს ხარჯზე! ასეთი (ქცევა) შეუფერებელია ბატონისთვის.

17-24. რაც შეეხება იმას, რომ ჩემს ძმას შემდეგი მივწერე: „რომელი ტყვეები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი უნდა მივცე (მზითვად) ჩემს ქალიშვილს? ჩემს მიწებზე ქერიც კი არ გამაჩნია. როდესაც მაცნეები მოაღწევენ შენთან, დაე, ჩემმა ძმამ გამომიგ ზავნოს მაცნე. დაე, მან აცნობოს<sup>30</sup> ჩემი მიწის მთავრებს და დაე, წაიყვანონ მათ მფლობელობაში (მყოფი) ტყვეები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. მე თვითონ გავუგ ზავნე მათ (=ჩემს ხელქვეითებს) მაცნეები და ფირფიტები. მაგრამ თქვენი მაცნე უკან მალე არ დაბრუნებულა და არც ჩემი მაცნე დაბრუნებულა. ამიტომ გავგ ზავნე ზუზუ, მეეტლე და მსახური, მაგრამ მასაც დაავიანდა. ახლა, როდესაც ვიხსადუმ ძლივს მოაღწია, უკვე ზამთარი იყო და ტყვეების შეგროვება ვერ მოვახერხე. ჩემო ძმაო, ჰკითხე მაცნეებს, ასე იყო თუ არა. საქმე იმაში კი არ არის, ...

25-33. რაც შეეხება იმ ამბავს, რომ შენ, ჩემო ძმაო, შემდეგი მომწერე: „მეტი აღარ მითხრა უარი ქალიშვილზე!“ ...ნუთუ თანხმობა არ (გქონდა) ჩემგან? ნუთუ ჩემთვის დავიტოვე იგი? მეტიც, მე ვისურვებდი, რომ იგი უკვე ჩამოსულიყოს (შენთან) როდესაც მე მას... მე თუ შენ (გულწრფელად) არ მოგათხოვებდი ჩემს ქალიშვილს, რატომ შეგპირდებოდი ტყვეებს, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს? ახლა კი არა... ისინი (პატარძალი და მისი ამაღა) ქიციუვათნაში ჩამოვლენ გამოსაზამთრებლად... დაე, მისმა უდიდებულესობამ (=ხათუსილიმ) ჩემი ვულისთვის იცოცხლოს! თუკი, იგი (=მეფის ასული) შემობრუნდება, ... ალალიმი, მწდეთა<sup>31</sup> უფროსი მოვიდა და შენი მხედარიც მოვიდა. დაე, (საქორწილო ამალიდან) ზოგიერთმა დაიკავოს რომელიმე ერთი ქალაქი, როდესაც სხვები ...

34-40. რაც შეეხება იმას, რომ შენ, ჩემო ძმაო, შემდეგი მომწერე: „გწერ ჩემს დას, რომ ქალიშვილის დაყოვნება არ არის სწორი... „როდის ვნახავთ? უბრძანე...! დაე ღვთაებებმა... დაყოვნება დაჩქარებად გადააქციონ ჩემთვის, რომ მე აღარ გადავდო! დაე, ავჩქარდე! მაგრამ ჩემმა ძმამ არ მიმიღო დად არც მე და არც ჩემი ღირსება, ასე თქვა: „ისე მოიქეცი, როგორც არ მმართვედა მოქცევა“... ნუთუ (რაც) მომწერე..., როდის შევცვალებ? იმის გამო, რომ მე შენი მოსურნე ვარ, რატომ უნდა შემეცვალა?

41-43. რაც შეეხება იმას, რომ შენ, ჩემო ძმაო, მომწერე შემდეგი: „შენი მაცნეები თავისუფლად ესაუბრნენ ქალიშვილს“. ამაზე მე ჩემს ძმას მივწერე: „როდესაც მომავალში, ხელსაყრელი დრო დადგება, მოვლენ?“ ამის გამო ვწერდი ჩემს ძმას.

44-46. მე რომ საჩქაროდ არ გამომიგ ზავნა ქალიშვილი და რომ არ მომეძღვნა (შესაბამისი ძღვენი) ჩემი ძმისთვის, ან მისი დისთვის, რას იტყოდა ჩემი ძმა? სავარაუდოდ: დაე, ქალს, რომელიც მე მომცეს, ჰქონდეს ქონება და იყოს შეძლებული! მაშინ ეს იქნებოდა დიდებული ამბავი“.

47-52. ბაბილონისა და ამურუს ქალიშვილები, რომლებიც მე, დედოფალმა, ჩემთვის ავიყვანე, ნუთუ ისინი არ იყვნენ ისეთები, რომლებითაც მე ვიამაყებდი ხათის ხალხის წინაშე? მე ვიყავი, ვინც ეს გააკეთა. მე მართალია უცხოელი, მაგრამ დიდი მეფეების ქალიშვილები ავიყვანე რძლებად. და თუკი როდესმე (მამა მეფის) მაცნეები მოვლენ რძალთან დიდებით, ან

<sup>29</sup> ხეთ. iš-ḫa-[an-n]a? tar-aḫ-mi – სისხლით გადაბმა (=საქორწინო უღელში შებმა).

<sup>30</sup> G15.ḪUR.MEŠ = ხის დაფები, იეროგლიფური ფირფიტები, Ünal A., (2007), 235.

<sup>31</sup> ღამბაშიძე მ. (2014).

მისი ძმა ან და მოვა მასთან და ისინი ნუთუ ასევე არ იქნებიან ჩემთვის საამაყონი? ნუთუ ხათში ჩემთვის ქალი დაილეოდა? ნუთუ მე ეს ღირსებისთვის არ ჩავიდინე?

53-56. ნუთუ ჩემს ძმას ცოლი საერთოდ არ ჰყოლია? ნუთუ ჩემს ძმას არ დაუდევს (საქორწინო შეთანხმება) ძმობის, დობისა და (ჩვენი) ღირსების გამო? და როდესაც მან იგი დადო, ისინი მართლაც ცხოვრობდნენ ბაბილონის მეფის (შეთანხმების) მსგავსად. ნუთუ მან ასევე არ აიყვანა დიდი მეფის, ხათის მეფის, ძლევაშობილი მეფის ქალიშვილი ცოლად? თუკი შენ იტყვი: „ბაბილონის მეფე არ არის დიდი მეფე“, მაშინ ჩემმა ძმამ არ იცის ბაბილონის მნიშვნელობა.

57-65. ჩემი საკუთარი ღვთაება იყო, რომელმაც ეს ქნა. და როდესაც ქ. არინას მზის ქალღვთებამ მინდის ღვთაებასთან ერთად, ხებათმა და შაუშქამ დედოფლად გამხადეს, (დედოფალი) შეუერთდა შენს ძმას და მე ვმობე ვაჟები და ქალები, ისე, რომ ხათის ხალხი სულ საუბრობს ჩემს აღზრდის უნარზე. შენ, ჩემო ძმაო, ეს იცი. გარდა ამისა, როდესაც მე შევაბიჯე სამეფო სახლში, მეფის ასულებმა, რომლებიც ოჯახში იყვნენ, ასევე იმშობიარეს ჩემი მზრუნველობით. მე აღვზარდე ისინი (მათი შვილები) და აღვზარდე ისინიც, ვინც უკვე შობილი დამხვდა. მე ისინი სამხედრო პირებად ვაქციე. დაე, ჩემმა მფარველმა ღვთაებამ...! და ნეტავ, ღვთაებებმა სათანადოდ მიაგონ მადლი და დედოფლის გამოცდილებისა და აღზრდის უნარი ქალიშვილს, რომელსაც ჩემს ძმას მივცემ! მე კი, დედოფამა, ასე ვთქვი: მისი ძმები იზრუნებენ მასზე. თუ ეს ჩემი ძმისთვის მიუღებელია, ხომ არ გავანაწყენებ მას?

უკანა მხარე:

1-5. „როდესაც ქალიშვილს გამომიგზავნით, მომწერეთ იმ საკითხებზე, რომლებზეც ფიქრობთ (=თავში გაქვთ) და რისი მოწერაც ვსურთ“. ეს ისეთი გზავნილია, როგორც მოსალოდნელი იყო ჩემი ძმისგან! ვინაიდან დედოფალი იმყოფება ამურუმში, მე თქვენს გვერდით ვიქნები და იქიდან მივწერ ჩემს ძმას ყველაფერს, რასაც დედოფალი ფიქრობს. შენ, ჩემო ძმაო, განსაჯე ისინი და დაადასტურე. როდესაც ქალიშვილი ჩემი ძმის მკლავებში აღმოჩნდება, დედოფლის ყველა საკითხი გადაწყვეტილი იქნება.

7-17. რაც შეეხება იმას, რომ შენ, ჩემო ძმაო, შემდეგი მომწერე: „ჩემმა დამ მომწერა: როდესაც მაცნეები გაემუზრნენ ბაბილონის მეფის ასულის სანახავად, რომელიც ეგვიპტეში იყო გათხოვილი, ისინი გარეთ დატოვეს. ენლილ-ბელ-ნიშემ, ბაბილონის მეფის მაცნემ მითხრა ეს.“ ვინაიდან ეს ამბავი შევიტყვე, ნუთუ არ უნდა მიმეწერა ჩემი ძმისთვის? მაგრამ ახლა, როდესაც ჩემმა ძმამ უარყო ეს, მეტი მე აღარ მოვიქცევი ასე. მეტი მე ისეთს არაფერს ჩავიდენ, რაც ჩემს ძმას არ მოეწონება. თუკი მე რამე არ ვიცი, ასეთ უსიამოვნო რამეს არ ვაკადრებ ჩემს ძმას. ვინაიდან მე უკვე ვიცი, არანაირ უსიამოვნებას არ მივაყენებ ჩემს ძმას. და ახლა მე ვიცი, რომ ეგვიპტე და ხათი ერთ ქვეყნად იქცევა. იმის მიუხედავად, რომ ეგვიპტის მიწისთვის ... ეს არ არის ხელშეკრულება, დედოფალმა იცის, რომ ამგვარად, თქვენ მას ხელს მოაწერთ ჩემი ღირსების პატივისცემის ნიშნად. ღვთაება, რომელმაც მე ამ ადგილზე დამსვა, მერე არაფერზე არ მეუბნება უარს, მან მე ბედნიერებაზეც არ მითხრა უარი. შენ, როგორც ჩემი სიძე, ჩემს ქალიშვილს ცოლად შეირთავ.

18-22. სანამ ჩემი ქალიშვილი... მნიშვნელოვან .... წერს... და ისინი მე... ჩემი შვილებიდან ... ჩემი...

## 11. ეგვიპტის ფარაონი რამსეს II - ხეთის დედოფალ ფუდუხეფას (აქად.)<sup>32</sup>

1-2. ასე ამბობს ვასმუარია, დიდი მეფე, ეგვიპტის მეფე, მზის ღვთაების ვაჟი რამსესი, ამონის რჩეული, დიდი მეფე, ეგვიპტის მეფე:

3. უთხარი ფუდუხეფას, ხათის დიდ დედოფალს, ჩემს დას:

4-6. ახლა რამსესი, ამონის რჩეული, დიდი მეფე, ეგვიპტის მეფე, შენი ძმა, კარგადაა. მისი სახლეული, ჯარი, ცხენები, ეტლები და ყველაფერი [მის ქვეყნებში] არაჩვეულებრივადაა.

7-10. დაე, შენ, [ჩემო დაო], დაე, არაჩვეულებრივად იყო! დაე, [ხათუსილი], ხათის დიდი მეფე, ჩემი ძმა, კარგად იყოს! დაე, მისი [სახლეულობა], მისი ვაჟები, მისი ჯარი, მისი ცხენები, [მისი ეტლები] და მისი მიწები კარგად იყოს!

11-18. ჩემს დას უთხარი: ახლა თილი-თემუბი, ჩემი დის მაცნე, მოვიდა ჩემს წინაშე, მას ახლდა რამასია, ჩემი დის მაცნე; ფარიხნავა, ჩემი მაცნე და ცინაფა და მანია, ასევე ჩემი მაცნეები. მათ მომახსენეს ჩემი დის [ჯანმრთელობის შესახებ, [დიდი მეფის], ხათის [მეფის], ჩემი ძმის [ჯანმრთელობის]ა და [მისი ვაჟების ჯანმრთელობის შესახებ]. და მე ფრიად გავიხარე.

19-25. [როდესაც] შევიტყვე ჩემი ძმისა და ჩემი დის კარგად ყოფნის შესახებ - „ისინი კარგად არიან [დაცულად] და ჯანმრთელად“. ხოლო როდესაც ვიხილე [ჩემი დის] გამოგზავნილი ფირფიტა, როდესაც შევიტყვე ყველა საკითხი, რომელზეც ჩემმა დამ მომწერა, როდესაც მივიღე საჩუქარი, რომელიც ჩემმა დამ გამომიგზავნა და როდესაც ვიხილე, რომ იგი დაცული და კარგ მდგომარეობაში იყო, ფრიად გავიხარე.

26-29. მზის ღვთაება და ამინდის ღვთაება ჩვენ ძმობას და მშვიდობას მოგვივლენენ, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ უკვე ვიმყოფებით კარგ ურთიერთობაში. ხოლო ჩვენი მაცნენი მუდამ ივლიან ჩვენს შორის, რათა გაამყარონ ძმობა და მშვიდობა.

30-36. ჩემს დას [უთხარი]: იმის პატივსაცემად, რაც ჩემმა დამ მომწერა თავისი ქალიშვილის შესახებ: „მზის ღვთაებამ ჩემი [ნატვრა] ისმინა, რომელიც მას შევედრე და ამისრულა იგი“. ეს არის, რაც ჩემმა დამ მომწერა. მე ფრიად გახარებული ვარ ამ კავშირის გამო, რომელიც მზის ღვთაებამ შექმნა, როდესაც მან დააკმაყოფილა [ჩემი] დის სურვილი, რომელიც შესთხოვა მას (=ღვთაებას).

37-43. მზის ღვთაება და ამინდის ღვთაება იხილავენ მთელი სამზადისის მოგვარებას, რომელიც ჩემს დას სურს, რომ მისი ქალიშვილისთვის შესრულდეს. მას მეფის, შენი ძმის სასახლეში დააბინავებენ, სანამ იგი ეგვიპტის მართვას შეუდგება. ისინი დააკმაყოფილებენ ჩემს დას და, შენს ძმას, (ეგვიპტის) მეფეს, იმ სამზადისით, რომელიც ისინი მისთვის (=მეფის ასულისთვის) შეასრულებენ.

44-52. [უთხარი] ჩემს დას: თილი-თემუბმა მითხრა: „ხათუსილმა, დიდმა მეფემ, ხათის [მეფემ], ხათის დიდ დედოფალთან ერთად, ასე გადმოძმა: ამცნე დიდ მეფეს, ეგვიპტის მეფეს, [ჩვენს ძმას]: გამოგვიგზავნე მასნიალის ვაჟები“. ეს იყო, რაც მან მითხრა. მაგრამ რამასიამ, ჩემი დის მაცნემ, თქვა: „ჩემს ქალბატონს არ უთქვამს: უთხარი, რომ [გამოგზავნოს მისი ვაჟები, და] მე ამის შესახებ არაფერი მსმენია. ხოლო დიდ მეფეს, ხათის მეფეს (არ) უსაუბრია თილი-თემუბთან“ აი, ეს იყო, რაც მან მითხრა.

53-62. [ხოლო] ფარიხნავამ თქვა: „მე არაფერი მსმენია ამის შესახებ. დიდ მეფეს, [ხათის ქვეყნის მეფეს] არ უხსენებია მასნიალის [ვაჟები], არც უთქვამს: უთხარი მეფეს [ჩვენს ძმას

<sup>32</sup> ტექსტი: CTH 158 – KBo 28.4, KBo 28.23: Edel E., (1994) 106 ff. (Nr. 43); 116-123 (Nr. 46); Cordani V. (2017) 114-121; Beckman G., (1999) 135-137.



მათზე]. მას არ უხსენებია ისინი [ჩემთან], და მე ამის შესახებ არაფერი მსმენია". და მან უთხრა [თილი-თეშუბს]: „მას [არ] უთქვამს არაფერი!" [ცინაფამ] ასევე თქვა: „[ხათუსილს], დიდი მეფეს, [ხათის] ქვეყნის მეფეს და დედოფალს [არაფერი უთქვამთ] მასწიალის [ვაჟებზე] – [გამოგვიგზავნე!]" ეს იყო, რაც მან მითხრა. ხოლო მანამ მამცნო იგივე ამბავი. და ისინი ადასტურებენ. ხოლო [...]რამ, თარჯიმანმა, იგივე თქვა ამ ამბავზე.

63-66. [მე, მეფე], შენი ძმა, ვესაუბრე თილი-თეშუბს, ჩემი დის მაცნეს: „შენ მართლაც გითქვამს: დიდმა მეფემ, ხათის მეფემ და ხათის დიდმა დედოფალმა მითხრა, უთხარი მეფეს, ჩვენს ძმას: გამოგვიგზავნოს მასწიალის ვაჟები".

67-73. „მოიყვანეთ ისინი და გაუგზავნეთ დიდ მეფეს, ხათის ქვეყნის მეფეს, [ჩემს ძმას]. და გაუგზავნეთ ისინი ჩემს დას." ეს მივუგე მას, ხოლო მან მიპასუხა: „არა, მათ არ წავიყვან, სანამ დიდი მეფის, ხათის ქვეყნის მეფის ფირფიტა დედოფლის ფირფიტასთან ერთად არ მოვა, სადაც ეწერება – გამოგზავნეთ!" აი ეს იყო, რაც მან თქვა. დაე, ჩემმა დამ გამოგზავნოს წერილი მასწიალის ვაჟებთან დაკავშირებით".

74-75. და თუკი ჩემი და იტყვის: „გამოგზავნე!", მაშინ მათ ჩემს დას გავუგზავნი დაუყოვნებლივ.

76-79. უთხარი ჩემს დას: ახლა მე მართლაც გავუგზავნე ჩემს დას მაცნეები, ჩემს მაცნეებთან ერთად, ისე რომ მათ შეუძლიათ სასწრაფოდ გაემშრონ ჩემს დასთან. და მე მათი ხელით გავუგზავნე ლამაზი საჩუქარი.

## 12. ეგვიპტის ფარაონ რამსეს II - ხეთის მეფე ხათუსილი III-ს (აქად.)<sup>33</sup>

წინა მხარე:

1-3. [ასე ამბობს ვასმუარია] სატეპნარია, [დიდი მეფე, ეგვიპტის მეფე], მზის ღვთაების ვაჟი, [ამონის რჩეული], დიდი მეფე, ეგვიპტის მეფე:

4-5. [უთხარი ხათუსილს, დიდ მეფეს], ხათის [მეფეს], ჩემს ძმას:

6. ახლა მე, [დიდი მეფე], შენი ძმა, კარგად ვარ.

7. დაე, შენ, ჩემო [ძმაო, ძალიან კარგად იყო]!

8-14. უთხარი [ჩემს ძმას: რაც ჩემმა ძმამ] მომწერა [თავის] და მათანაცზე: „დაე, ჩემმა ძმამ გამოგზავნოს კაცი, რომ მას წამალი მოუმზადოს, ისე, რომ მან შეძლოს მშობიარობა". ეს იყო, რაც ჩემმა ძმამ მომწერა.

15-უკანა მხარე 5. უთხარი ჩემს ძმას: ახლა მე, დიდმა მეფემ, შენმა ძმამ ვიცი მათანაცის, ჩემი ძმის დის ამბავი. ამბობენ, რომ იგი ორმოცდაათი ან სამოცი წლისაა. შეუძლებელია დაამზადო წამალი ქალისთვის, რომელსაც ორმოცდაათი ან სამოცი წელი შეუსრულდა და მაინც შეძლოს მშობიარობა.

6-8. მაგრამ თუკი მზის ღვთაება და ამინდის ღვთაება ბრძანებენ, მაშინ რიტუალი, რომელიც განკუთვნილია ამისთვის, სრულად ჩატარდება ჩემი ძმის დისთვის!

9-13. და მე, მეფე, შენი ძმა, გამოგზავნი მცოდნე შემლოცველ ქურუმსა და მცოდნე [ექიმს] მკურნალს და ისინი მოუმზადებენ წამალს, რათა მან იმშობიაროს.

14-16. ახლა მე ვუგზავნი საჩუქარს ჩემს ძმას ამ [მაცნის] მეშვეობით:

<sup>33</sup> ტექსტი: CTH 163 - KBo 28.30: Edel E., (1994) 178-181 (Nr. 75); 270; Beckman G., (1999) 137f. (Nr. 22G); Wilhelm G. (2006) 236f; Cordani V. (2017) 145f.

17. [...??] ბისუსისას.

18. [...სამოსს] ბისუსისას.

### 13. ეგვიპტის უფლისწულ სუთახაფში - ხათის მეფე ხათუსილი III-ს (აქად.)<sup>34</sup>

წინა მხარე:

1-2. [ასე ამბობს] სუთახაფში, ეგვიპტის მეფის, დიდი მეფის[ვაჟი]:

3-4. უთხარი ხათუსილს, დიდ მეფეს, ხათის ქვეყნის [მეფეს], მამაჩემს:

5-7. დაე, შენ, დიდო მეფე, ხათის ქვეყნის მეფე, [მამავ] ჩემო, იყავი კარგად და დაე, შენი [ქვეყნებიც კარგად] იყოს!

8-10. [(რაც შემიხება) მე, შენს ვაჟს], კარგად ვარ. დიდი მეფის, ეგვიპტის მეფის [მიწებიც], კარგ დღეშია.

11-16. რაც შეეხება (იმას), რომ დიდმა მეფემ, ხათის ქვეყნის მეფემ, მამაჩემმა, მოიწერა (და) თავისი ვაჟის ჯანმრთელობა მოიკითხა, ფრიად გავიხარე, რომ მამაჩემმა მოიწერა ჩემი ჯანმრთელობის მოსაკითხად.

17 უკანა მხარე 4. მზის ღვთაება და ამინდის ღვთაება მოიკითხავენ დიდი მეფის, ხათის ქვეყნის მეფის, მამაჩემის ჯანმრთელობას და დაამყარებენ სამუდამო მშვიდობასა და ძმობას დიდ მეფეს, ეგვიპტის მეფესა და დიდ მეფეს, ხათის მეფეს, მის ძმას შორის. ასევე, ისინი წლებს გაუხანგრძლივებენ დიდ მეფეს, ეგვიპტის მეფესა და დიდი მეფეს, ხათის მეფეს, მის ძმას.

5-7. რადგან ისინი სამუდამოდ მყარად არიან დაკავშირებულნი მშვიდობითა და ძმობით.

8-10. ახლა კი, მამაჩემს ვუგზავნი ძღვენს ფარიხნავას ხელით, რითაც მამაჩემს სალამს ვუძღვნი საჩუქრად:

11-14. [ერთ] სასმისს საუკეთესო ოქროსგან, რომელსაც ხარი აქვს გამოსახული, მისი რქები თეთრი ქვისგანაა, [ხოლო თვალები] შავი ქვისგან. [იგი იწონის] 93 საუკეთესო ოქროს.

15. [ერთ] ახალ [სელის სამოსს] საუკეთესო ძაფისგან.

16-17. [ერთ] ახალ ორმხრივ [სელის თეთრეულს საწო]ლისთვის საუკეთესო ძაფისგან.

### 14. ეგვიპტის ფარაონ რამსეს II - მირა-ქუვალიას - ქუფანთა-ქურუნთას

1-5. ასე ამბობს ვასმურაია სათეპნარია, დიდი მეფე, [ეგვიპტის მეფე], მზის-ღვთაების ვაჟი, რამსესი, ამონის საყვარელი: უთხარი ქუფანთა-ქურუნთას, მირას ქვეყნის მეფეს: ახლა [კარგად ვარ. ჩემი სახლეული], ჩემი ვაჟები, ჩემი ფეხოსანი ლაშქარი, ჩემი ცხენები, ჩემი ეტლები და ჩემი ქვეყნის ყველაფერი კარგად არის.

6. დაე, მირას მეფეც კარგად იყოს! შენს ქვეყანაში [ყველაფერი კარგად იყოს]!

7-13. ახლა მე, დიდმა მეფემ, ეგვიპტის მეფემ, შევიტყვე იმის შესახებ, რაც მომიწერე. რაც შეეხება ურხი-თეშუმის ამბავს, მე არ ჩამიდენია ის, რაზეც მწერ. ახლა [...] კარგი ურთიერთობა, რომელიც მე, დიდ მეფეს, ეგვიპტის მეფეს მაქვს [ხათის ქვეყნის მეფესთან] დიდ მეფესთან, ჩემს ძმასთან, დამყარებულია ძმობასა და მშვიდობაზე. მზის ღვთაებამ და [ამინდის ღვთაებამ] დაადგინეს ეს სამუდამოდ. მეორე ამბავი: ურხი-თეშუმის ამბავი, რომელზეც შენ მწერ - დიდი მეფე, ხათის ქვეყნის მეფე, მას შემი სურვილის შესაბამისად მოექცა.

<sup>34</sup> ტექსტი: CTH 169 – KUB 3.70: Edel E., (1994) 34-37 (Nr. 9); Beckman G., (1999) 128 (Nr. 22A); Cordani V. (2017), 69f.

14-27. იგი მწერს გამუდმებით მის შესახებ შემდეგს: „დაე დიდი მეფე, ეგვიპტის მეფე, მოემზადოს (ივარჯიშოს) და დახარჯოს თავისი ოქრო, ვერცხლი, ცხენები, სპილენძი [და თავისი სამოსელი] იმისათვის, რომ [ეგვიპტეში წაიყვანოს ურხი-თეშუბი. მან იგი არ უნდა გააძლიეროს] და ხათის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა წამოიწყოს... აი ესაა, რაც დიდმა მეფემ, ჩემმა ძმამ, ხათის ქვეყნის მეფემ, მომწერა...“

რამდენიმე ხაზი მომტვრეულია.

5. უკანა მხარე 4-11. ... მართლაც, დიდმა მეფემ, ეგვიპტის მეფემ, სასწრაფოდ მისწერა ამის შესახებ (ანუ, ეგვიპტის შეთქმულების შესახებ ურხი-თეშუბთან) დიდ მეფეს, ხათის ქვეყნის მეფეს: „რა გავაკეთე? ნუთუ ურხი-თეშუბი (მმართველად) ვალიარე?“ ეს არის, რაც თქვი. მაგრამ დიდ მეფეს, ხათის ქვეყნის მეფეს, არ მოუწერია ამის შესახებ. ნუთუ ჩემმა ზაგეებმა გათქვეს ეს შეთქმულება? სიტყვები, რომელსაც კაცები გეუბნებიან, არ არის სწორი. არ დაუჯერო. მე ხათის ქვეყნის მეფესთან, დიდ მეფესთან დადებული ძმობა და [მშვიდობა] სამუდამოდ მეძვირფასება.

12-16. სხვა ამბავი: რა არის ის ამბავი, რაზეც დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, მწერს და შენც მწერ? ფიცის (=ხელშეკრულების) ფირფიტა, რომელიც მე დიდი მეფისთვის, ხათის ქვეყნის მეფისთვის, ჩემი ძმისთვის დავწერე, გავაგზავნე [ამინდის ღვთაების] ფეხებთან და დიდი ღვთაებების წინაშე. ისინი არიან მოწმეები [ფიცის სიტყვებისა].

17-19. და ფიცის ფირფიტა, რომელიც დიდმა ძმამ, [ხათის ქვეყნის მეფემ, ჩემმა ძმამ] ჩემთვის დაწერა, [ჰელიოპოლისის] მზის-ღვთაების ფეხებთან დადო და დიდი ღვთაებებთან. ისინი არიან [ფიცის] სიტყვების მოწმეები.

20-24. მე ფიცის ფირფიტა ავიღე და არ მივატოვე. შენს გულში არ დაუჯერო არასწორ სიტყვას, რომელიც შენ გაიგონე. ამას არ აქვს აზრი. მე სამუდამოდ კარგ ურთიერთობაში და ძმობაში და მშვიდობაში ვარ და ვიდგები დიდ მეფესთან, [ხათის ქვეყნის, ჩემს ძმასთან].

## 15. ხეთების მეფე ხათუსილი III - ბაბილონის მეფე კადაშმან-ენლილ III-ს

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის<sup>35</sup> ადრესატი ბაბილონის მეფეა, იგი ხათუსაში იპოვნეს. როგორც ჩანს, ან წერილის შავი პირია, ან შესწორებული ვერსია, რომელიც სასახლეში ჩასწორდა. ფირფიტაზე იმდენი ჩასწორებაა, რომ, როგორც ჩანს, ეს მეორე ვარიანტი უფროა. ტექსტში არაერთი საკითხია განხილული - ვაჭრების ამბები, ვასალებთან ურთიერთობები, შემლოცველებისა და ექიმებისა და სხვადასხვა სპეციალისტების გაცვლა და ა.შ.

მაგრამ მთავარი მოტივი წერილისა მაინც უნდა ყოფილიყო ხეთებსა და ბაბილონს შორის წარმოშობილი დამაბულობა კადაშმან ენლილის მამის - კადაშმან-თურგუს გარდაცვალების შემდეგ.

1-2. ასე ამბობს ხათუსილი, დიდი მეფე, ხათის მეფე: უთხარი [კადაშმან-ენლილს, დიდ მეფეს, ბაბილონის მეფეს, ჩემს ძმას:

3-4. მე კარგად ვარ. ჩემი ოჯახი, ჩემი ცოლი, ჩემი ვაჟები, ჩემი ქვეითი ჯარი, ჩემი ცხენები, [ჩემი ეტლები] და ყველანი კარგად არიან ჩემს ქვეყანაში.

<sup>35</sup> ტექსტი: CTH 169 – KUB 3.70: Edel E., (1994) 34-37 (Nr. 9); Beckman G., (1999) 128 (Nr. 22A); Cordani V. (2017), 69f.

5-6. დაე, შენც კარგად იყავი! შენი ოჯახი, შენი ცოლები, შენი ვაჟები, შენი ქვეითი ჯარი, შენი ცხენები, შენი ეტლები და ყველანი კარგად იყვნენ შენს ქვეყანაში!

7-24. როცა მე და მამაშენმა მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ და მოსიყვარულე ძმები გავხდით, ნუთუ არ დავძმობილდით, მარადიულად არ დავამყარეთ ძმობა და მეგობრული ურთიერთობა? [შემდეგ] ჩვენ ერთმანეთთან [ხელშეკრულება] შევადგინეთ შემდეგნაირად: „ჩვენ მოკვდავნი ვართ. ვინც აქ დარჩება, მან უნდა დაიცვას იმის შვილები, ვინც თავის ბედს პირველი გაჰყვება“. შემდეგ მამაშენი თავის ბედს გაჰყვა, იმ დროს, როცა ღვთაებებმა [მე დღევრძელობა დამიდგინეს]. მე ძმასავით დავიტირე ის. [ხოლო] მას შემდეგ, რაც მამაშენი წესისამებრ გამოვივლოვე, შევიშრე ცრემლები, [უმალ] მაცნე ვაფრინე და ბაბილონის დიდებულებს შემდეგი მივწერე: „თუ თქვენ ჩემი ძმის შთამომავლობას წესისამებრ არ დაუდგებით მხარში, მტრად გაგიხდებით, მოვალ და დავიპყრობ ბაბილონს. ხოლო თუ მტერი დაგესხმებათ, ან დახმარება დაგჭირდებათ, მომწერეთ, რომ დაგეხმაროთ».

მაგრამ (შენ), ჩემო ძმაო, მაშინ ყრმა იყავი და ეს ფირფიტა არ წაგიკითხეს. ნუთუ ახლა არცერთი ის გადამწერი ცოცხალი არაა? ნუთუ ის ფირფიტები არ შეუნახავთ? დაე, ის ფირფიტები წაგიკითხონ. მე ეს სიტყვები კეთილი განზრახვით დავწერე, მაგრამ ითი-მარდუქ-ბალატუმ, რომელსაც ღვთაებებმა დიდხანს სიცოცხლე მიანიჭეს და რომელსაც კეთილი სიტყვა არასდროს ამოსვლია პირიდან, მან გული გამიტება თავისი მოწერილი სიტყვებით: „შენ ძმასავით არ გვწერ. ისე გვჩაგრავ, თითქოს შენი მსახურები ვიყოთ“.

25-35. ნება მომეცი ვკითხო ჩემს ძმას: მართლა ჰგონია, რომ გჩაგრავთ და მსახურებივით გექცევით? ნუთუ ბაბილონელები როდესმე ჩაგრავდნენ ხეთებს? და პირიქით, ნუთუ ხეთები როდესმე ჩაგრავდნენ ბაბილონელებს? მე მათ კეთილი გულით მივწერე: „ჩემი ძმის, კადაშმან-თურგუს შთამომავლობა მარადუამს დაცული უნდა იყოს“. ითი-მარდუქ-ბალატუმ კი ეს მომწერა. როგორი ბოროტი სიტყვები უნდა მიმეწერა მათთვის, რომ ითი-მარდუქ-ბალატუს ეს ეპასუხა? მე ხომ პირიქით, ეს მივწერე: „თუკი თქვენ არ დაიცავთ თქვენი ბატონის ძეს წესისამებრ და თუ მტერი წინ აღვიდგებათ, არ მოვალ თქვენს საშველად!“ ითი-მარდუქ-ბალატუს სიტყვები გულთან არ მიმიტანია. იმ დროს ჩემი ძმა ბავშვი იყო და ითი-მარდუქ-ბალატუმ კი, იმ ბოროტმა კაცმა, თავის ჭკუაზე მოახსენა (ჩემი) სიტყვები. როგორ ვენდო მის სიტყვებს?

36-54. შემდგომ, ჩემო ძმაო: იმის გამო, რომ ჩემმა ძმამ მომწერა: „რაც შეეხება ჩემი მაცნეების შემცირებას, ვინაიდან ახლამუელები მტრულად არიან განწყობილნი, მე არ გამოვგზავნე ჩემი მაცნეები“. როგორაა ეს საქმე, რომ შენ, ახლამუელების გამო არ გამოგზავნე მაცნეები? ნუთუ შენი სამეფო ასე პატარაა, ჩემო ძმაო? ან იქნებ ითი-მარდუქ-ბალატუმ ილაპარაკა ბოროტი სიტყვები ჩემი ძმის წინაშე ისე, რომ ჩემმა ძმამ აღარ გამოგზავნა მაცნეები? ჩემი ძმის ქვეყანაში ცხენები უფრო მეტია, ვიდრე ჩალა. ნუთუ მართლა ათასი ეტლი უნდა გამოიმეგზავნა შენი მაცნეს დასახვედრად თუტულში, რათა ახლამუელებს თავი შორს დაეჭირათ? და თუკი ჩემი ძმა იტყოდა: „ასურეთის მეფე ნებას არ მისცემს ჩემს მაცნეებს მის ქვეყანაში ფეხოსანი და ცხენოსანი რაზმით [შესასვლელად]. ასურეთის მეფე ვერ მოვა შენ ქვეყანასთან. მართლაც, შენი მაცნე ძალით [...] ვინ არის ასურეთის მეფე, რომ აკავებს შენს მაცნეებს [იმ დროს, როდესაც ჩემი მაცნეები] არაერთხელ კვეთავენ [ამ გზას?] ნუთუ ასურეთის მეფე აკავებს შენს მაცნეებს და შენ [ჩემო ძმაო] არ შეგიძლია მოაღწიო [ჩემს ქვეყანაში]? ჩემო ძმაო, შენ დიდი მეფე ხარ და დაე დღევრძელი იყო...! შეხედე, ჩემო ძმაო, როგორ განვაგრძობ ჩემი მაცნეების გამოგზავნას ჩემი ძმის სიყვარულის გამო, იმ დროს, როცა ჩემი ძმა არ მიგზავნის მაცნეებს. განა [ჩემმა ძმამ] იცის ამის შესახებ? ყოველი სიტყვა, რომელიც ჩემმა ძმამ მომწერა, დამახსოვრებული მაქვს.

[მხოლოდ ორი მეფე], რომლებიც ერთმანეთის მტრები არიან, არ უგზავნიან ერთმანეთს მაცნეებს. [ჩემო ძმაო], რატომ არ აგზავნი [შენს მაცნეებს]?

55-75. [უფრო მეტიც, ჩემო ძმაო: რაც შეეხება] ეგვიპტის მეფის მაცნეს, რომლის შესახებაც შენ, ჩემო ძმაო, მომწერე - ახლა მოგწერ ეგვიპტის [მეფის მაცნის] შესახებ: [როდესაც მამაშენმა] და მე მეგობრობა დავამყარეთ და ძმები შევიქენით, ჩვენ ვთქვით: „ჩვენ ძმები ვართ. ერთმანეთის მტრის მიმართ [მრტულად ვიქნებით განწყობილნი და] ერთმანეთის მეგობრებთან მეგობრულად“. და როდესაც ეგვიპტის მეფე და [მე] ერთმანეთს გავუნაწყენდით, მამაშენს, კადაშმან-თურგუს მივწერე: „[ეგვიპტის მეფე] მტრულად განეწყო ჩემს მიმართ“. მაშინ მამაშენმა მომწერა: „[თუკი შენი ლაშქარი] ეგვიპტის წინააღმდეგ წავა, მაშინ მეც შენთან ერთად წამოვალ. [თუკი] შენ [ეგვიპტის წინააღმდეგ წახვალ, მე გამოგიგზავნი] რამდენი ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარიც მეყოლება, იმდენს“. ახლა, ჩემო ძმაო, ჰკითხე შენს დიდებულებს, ისინი გეტყვიან [გამომიგზავნიდა თუ არა] ფეხოსან და ცხენოსან ლაშქარს, როგორც მპირდებოდა [იმ შემთხვევაში, რომ წავსულიყავი]. მაგრამ რა მივიღე? ჩემი მტერი, რომელიც [გაიქცა] სხვა ქვეყანაში და ეგვიპტის მეფესთან მივიდა. როდესაც მას მივწერე: „[გამომიგზავნე ჩემი მტერი]“, მან კი არ გამომიგზავნა, [მაშინ ამის გამო, მე და ეგ]ვიპტის მეფე ერთმანეთს გავუნაწყენდით. მაშინ [მივწერე] მამაშენს: „[ეგვიპტის მეფე] მოდის ჩემი მტრის დასახმარებლად. როდესაც ჩემი ძმა [მეფე გახდა], შენ გაუგზავნე [შენი მაცნე] ეგვიპტის მეფეს და ეგვიპტის მეფის მაცნეს საკითხი... ხოლო ეგვიპტის მეფემ მიიღო შენი საჩუქრები და შენც მიიღე [მისი საჩუქრები]. ახლა [შენ გაიზარდე. თუკი] შენ კიდევ აპირებ [შენი მაცნეს ეგვიპტის მეფესთან გაგზავნას], როგორ მოვიქცე, შეგაკავო?“

76-უკანა მხარე 8. [...] და ახლა უკვე ზრდასრული ხარ [...] მოვა. ჩემი ძმის ჯანმრთელობა [...] წაიღებენ. [...] კეთილად ვეპყრობი. [...] სამჯერ ან ოთხჯერ [...] ვაჟი ან ქალიშვილი. [...] მამაშენმა, კადაშმან-თურგუმ და მე [...] ისინი ასე წუწუნებენ: [...] ჩვენი ძმის მეფეებმა ასე თქვეს: „ვინაიდან ბაბილონის მეფემ და ხათის მეფე [მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს და მოსიყვარულე ძმები გახდნენ], ბაბილონის მეფე [თავის ბედს გაჰყვა, ნუთუ ხათის ქვეყნის] მეფემ მისი სიყვარულით ნუთუ არ [მიხედავს თავისი ძმის შთამომავლობას?“ ასე თქვეს მათ და მე მათ მივწერე: „ჩემი ძმის სიყვარულით [მე მივხედავ ჩემი ძმის შთამომავლობას]“. და ეს სიტყვები ესმოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთით [...] ყველას.

9-13. [შემდგომ, ჩემო ძმაო: ვინაიდან] ჩემმა ძმამ მომწერა იმაზე, რომ მე პასუხი გავეცი ადა-შარ-ილანის [...] მოიტანა. ქარგამიშის მეფემ [გადაუწყვიტა...] ვაჭრებს სამართალი. ჩემო ძმაო, სასწრაფოდ გამომიგზავნე სხვა მაცნე, [რათა] მე [სამართალი] დავადგინო. ან პირიქით, მე გამოგიგზავნი მათ კანონის მოწინააღმდეგეებს და [ჩემმა ძმამ] დაადგინოს სამართალი.

14-25. [შემდგომ, ჩემო ძმაო, ვინაიდან] შენ მომწერე: „ჩემი ვაჭრები ამურუს, უგარიტის და ... ქვეყნებში მოკლეს - ისინი არ მოუკლავთ ხათში. [მაგრამ ...] ისინი კლავენ. თუკი მეფე შეიტყობს ამის შესახებ, ამ საკითხს განსჯიან. ისინი შეიპყრობენ მკვლელს და მას მოკლული კაცის ნათესავებს მიჰგვრიან, [მაგრამ ისინი] მკვლელს [სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ. ადგილი], სადაც მკვლელობა მოხდა, უნდა განიწმინდოს. თუკი ნათესავები არ მიიღებენ [სანაცვლო ვერცხლს], მათ შეუძლიათ მკვლეელი [მონად გაიხადონ]. თუკი კაცი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა მეფის წინაშე, სხვა ქვეყანაში გაიქცევა, დაუშვებელია მისი მოკვლა. ჰკითხე ჩემს ძმას და ისინი გეტყვიან. [...] ვინც ბოროტმოქმედს არ კლავს, ნუთუ ვაჭარი უნდა მოკლას? [რაც შეეხება] სუბარუელებს, საიდან უნდა ვიცოდე, რომ ისინი კლავენ ხალხს? ახლა [გამომიგზავნე] მოკლული ვაჭრის ნათესავები, რათა გამოვიძიო მათი სარჩელი.

26-33. გარდა ამისა, ჩემო ძმაო: რაც შეეხება ბენთემინას, რომლის შესახებაც ჩემმა ძმამ მომწერე: „ის განუწყვეტლივ ავიწროებს ჩემს ქვეყანას“ - როდესაც ბენთემინას (ამის შესახებ)

კვითხე, მან ასე მიპასუხა: „ბაბილონელებს ჩემი სამი ტალანტი ვერცხლი ჰმართებთ». ახლა ბენთეშინას მსახური შენსკენ მოემართება, რათა ჩემმა ძმამ გადაწყვიტოს მისი სარჩელი. ხოლო რაც შეეხება ჩემი ძმის მიწის წინააღმდეგ წყევლას, ბენთეშინამ ფიცი დადო ჩემი ღვთაებების წინაშე შენი მაცნეს, ადად-შარ-ილანის წინ. თუკი ჩემს ძმას არ სჯერა ამისი, დაე მისი მსახური, რომელმაც მოისმინა ბენთეშინას საუბარი, როდესაც ის ხანდახან არბევდა ჩემი ძმის მიწას, მოვიდეს აქ და წარდგეს სასამართლოს წინაშე. და მე ბენთეშინაზე ზეწოლას მოვახდენ. ბენთეშინა ჩემი მსახურია და მან ჩემი ძმა რომ დაწყევლა, მეც ხომ დამწყევლა ამით?

34-41. გარდა ამისა, [ჩემო ძმაო]: რაც შეეხება მკურნალს, რომელიც ჩემმა ძმამ აქ გამოგ ზავნა - როდესაც იგი მიიღეს, მან ბევრი [კარგი] საქმე გააკეთა. ხოლო როცა ავად გახდა, მე გამუდმებით ვზრუნავდი მასზე. არაერთი მკითხაობა ჩავუტარე, მაგრამ როცა მისი დრო დადგა, ის გარდაიცვალა. ახლა კი ჩემი მაცნე მოიყვანს თავის მსახურებს, რათა ჩემმა ძმამ შეძლოს მათი [დაკითხვა] და მათ შეძლონ ჩემს ძმას მოუყვანონ ბევრი რამის, რასაც ექიმი აკეთებდა. და თუკი ისინი გაიქცვიან იმ ნივთებთან ერთად, რომლებიც მე მათ ოსტატს მივეცი, შეეშინდებათ და დაუმალავენ ამას ჩემს ძმას, [დაე], ჩემმა ძმამ [განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს] ეტლს, ათართუ-ეტლს, ცხენებს, კარგი ხარისხის ვერცხლს და სელის ქსოვილს, რომელიც მივეცი ექიმს. ეს ყველაფერი დავწერე და ჩემს ძმას გავუგ ზავნე ფირფიტა, რათა ჩემმა ძმამ იცოდეს ამის შესახებ. როდესაც [ექიმის] დრო დადგა, ის გარდაიცვალა. ვერაფრით გავაჩერებდი ექიმს.

42-48. გარდა ამისა, [ჩემო ძმაო]: როდესაც ჩემი ძმის მუვათალის მეფობის დროს მათ შეიპყრეს ქურუმი და ექიმი და ისინი [ხათში] წაიყვანეს, მე განვურისხდი და ვუთხარი: „რატომ შეიპყართ ისინი? ექიმის შეპყრობა არ არის მართებული საქციელი“. და ამის მერე (როგორ ფიქრობ), მე თვითონ დავიჭერდი ექიმს? [პირველ საკითხთან დაკავშირებით გეტყვი, რომ] ის საქმის მცოდნეები, რომლებიც მათ აქ მიიღეს, მათგან, როგორც ჩანს, ქურუმი გარდაიცვალა, [ექიმი კი] ცოცხალია და კარგი სახლის მფლობელია. ქალი, რომელიც მან ცოლად მოიყვანა, ჩემი ნათესავია. [თუკი იგი იტყვის]: „მინდა ჩემს სამშობლოში დავბრუნდე,“, მაშინ მას შეუძლია დატოვოს აქაურობა და წავიდეს [თავის სამშობლოში]. (როგორ ფიქრობ), დავაკავებდი თუ არა ექიმ რაბა-შა-მარდუქს?

49-55. [უფრო მეტიც, ჩემო ძმაო]: გავიგე, რომ ჩემი ძმა სრული ასაკისა გამხდარა და სანადიროდ ხშირად დაიარება. [მიხარია] დიდად, რომ ამინდის ღვთაებამ გამოარჩია და პატივი სცა ჩემი ძმის, კადაშმან-თურგუს სახელს. [...] წადი და გაიგე, რა ხდება მტრის მიწაზე, გამარცვულია თუ არა იგი, როგორ გავიგო ამის შესახებ. [...] ჩემი [ძმა] დამარცხდა. უფრო მეტიც, ჩემს ძმაზე ასე მითხრეს, რომ ჩემი ძმა ისეთი მეფეა, რომელსაც იარალი არ აუწევია. ნუთუ ასე არ ამბობენ? [...] ხოდა, ასე ნუ დაჯდები (გულზეხელებდაკრეფილი), არამედ გასწიე მტრის მიწისაკენ და დაამარცხე მტერი! გასწიე იმი მიწისკენ, რომელზეც სამჯერ და ოთხჯერ დიდი ხარ.

56-57. [...] მან მამამისი გააბრაზა. ახლა კი ვაიძულებ მას ცოლ-შვილთან [...]

58-61. [უფრო მეტიც, ჩემო ძმაო]: მინდა ქანდაკებები გავამზადო და სასახლეში მოვათავსო. ჩემო ძმაო, [გამომიგზავნე] მოქანდაკე. [როდესაც მოქანდაკე] დაასრულებს ქანდაკებებს, სახლში უკან გამოვავ ზავნი. [ნუთუ წინა] მოქანდაკე არ დავაბრუნე და კადაშმან-თურგუსთან ხომ დაბრუნდა? [ჩემო ძმაო], ნუ დამიკავებ [მოქანდაკეს].

62-66. [უფრო მეტიც, ჩემო ძმაო]: გამომიგზავნე [ცხენები], განსაკუთრებითწვივმაღალი ფაშატები, ისეტები, როგორიც ადრე მამაშენმა გამომიგზავნა და ისინი, რომლებიც ჩემმა ძმამ გამომიგზავნა, კარგია, მაგრამ ძალიან ფეხმოკლეა. ძველი ცხენები [... ხათში] ზამთარი მკაცრია

და ხნიერი ცხენი ვერ გადარჩება. გამომიგზავნე, [ჩემო ძმაო, ცხენები], კერძოდ, ფაშატები. ჩემს მიწაზე უკვე ბევრი ფეხმოკლე [ჰკითხე შენს მაცნეს, ჩემო ძმაო] და ის გეტყვის.

ამ წერილის ბოლო 17 შემონახული სტრიქონი ზედმეტად დაზიანებულია თარგმანისთვის. ხათუსილი ახსენებს უხარისხო ლაჟვარდის ქვას, რომელიც გამოუგზავნა მეფემ და სთხოვს ვერცხლის გამოგზავნას „თავისი საქმისთვის“. შემდეგ ასახელებს იმ საჩუქრებს, რომლებსაც იგი ბაბილონში აგზავნის.

## 16. ხეთების მეფე ხათუსილი III - ასურეთის მეფე - ადად-ნირაი I-ს

ტექსტი<sup>36</sup> ასურულ დიალექტზეა დაწერილი, მაგრამ შესაძლებელია, იგი დაეწერა ხეთის სამეფო კარზე ასურულ მწერალს. დასაწყისი დაკარგულია.

6-19'. ...უფრო მეტიც, ქალაქ თურირას ხალხი გამუდმებით მარცვავს ჩემს მიწას. [ისინი გამუდმებით მარცვავენ] ქარხემიშის მიწას [იმ მხარეს] და [აშთას(?)] მიწას ამ მხარეს. ხანიგალბათის მეფე გამუდმებით მწერდა: „[თურირა] ჩემია“. შენ კი ამას მწერ: „თურირა ან ჩემია, ან შენია, ხანიგალბათის მეფეს არ ეკუთვნის“. თურირას საკითხზე თუ გაინტერესებს, როდესაც ისინი მარცვავენ მიწას, შემდგომ ნადავლი თურირაში მიაქვთ. ჩემი ქვეშევრდომები, რომლებიც გარბიან, მიეშურებიან თურირასკენ. თუ თურირა შენია, დაიპყარი! მაგრამ ქალაქში მცხოვრები ჩემი ქვეშევრდომების ქონება არ მოითხოვო. თუ თურირა შენი არაა, მომწერე, რომ მე დავიპყრო იგი. თქვენმა ჯარებმა, რომლებიც ქალაქში ცხოვრობენ, ქონების გამო, არ უნდა თქვან: რატომ სურს თურირას ხალხს ლომის ძღვენის ხელთ ჩაგდება?

20-24'. რაც შეეხება კარგი ხარისხის რკინას, რომლის შესახებაც თქვენ მომწერეთ - კარგი რკინა არ არის ჩემს სამფლობელოში ქ. ქიცუვათნაში. მოგწერე, რომ ცუდი დროა რკინის დასამზადებლად. კარგ რკინას გიმზადებენ, მაგრამ ჯერ არ დაუსრულებიათ. როგორც კი დაასრულებენ, გამოგიგზავნი. ახლა კი გიგზავნი რკინის ლახვარს.

25-29'. [რაც შეეხება] აბჯარს, რომელიც გამომიგზავნე და მომწერე: „ამათ სანაცვლოდ [რკინის] პირები [გამომიგზავნეო]“ ჯერ არ დაუმთავრებიათ [რკინის] პირები, როცა დაასრულებენ, გამოგიგზავნი. შენ დაგემსგავსე (?). [...] რასაც შენ მწერ, რასაც მთხოვ.... ...

უკანა მხარე 2-10'. [...] დიდმა მეფემ, ბაბილონის მეფემ [...] მოგწერა [...] შენ. [ჩემმა ძმამ(?)] ხომ გამოგიგზავნა შესაბამისი მისალოცი საჩუქრები? მაგრამ როცა მე გავმეფდი, [მაშინ] მაცნე არ გამომიგზავნე. ასეთი წესია, როდესაც მეფეები გამეფდებიან, თანასწორი მეფეები, ერთმანეთს [მისალოცების საჩუქრებს] უგზავნიან, მეფის შესაფერის სამოსელს და ძვირფას [ზეთს] მისი ცხებისთვის. მაგრამ შენ ეს არ გაგიკეთებია.

11'-19', ახლა, მე ჩემი მაცნე და ბელ-ქარადი მოვიხმე, რომელიც ადრე გამოგიგზავნე. ამ ამბის გამო მოვიხმე. მე თქვენ გამოგიგზავნეთ [თქვენ] ყველა მოთხოვნა, რომლის შესახებაც მომწერეთ. ამ საქმის გამო [დავაკავე]. მაცნეები, რომლებსაც თქვენ რეგულარულად აგზავნიდით აქ მეფე ურხი-შეშუბის დროს, ხშირად ამწვავებდნენ საქმეს [...]. დღეს, [...] ში არ უნდა [არ] თქვათ: „აქ, რა თქმა უნდა, ისევ ამწვავებს, როგორც მაშინ“. როდესაც მოვა, არ დაგჭირდება, რომ ბელ-ქარადს ჰკითხო, მართლა დამემუქრა თუ არა [...]

<sup>36</sup> [https://www.hethport.uni-wuerzburg.de/TLHdig/tlh\\_xtx.php?d=KBo%201.14](https://www.hethport.uni-wuerzburg.de/TLHdig/tlh_xtx.php?d=KBo%201.14)

### 17. ხეთების მეფე მუვათალი II/მურსილი III (=ურხი-თემუბი) - ასურეთის მეფე ადადნირაი I-ს

ტექსტი<sup>37</sup> ხეთურ ენაზე შესრულებული მონახაზია. წერილი ხეთების მეფე მუვათალი II-მ, იგივე მურსილი III, იგივე ურხი-თემუბმა გაუგზავნა ასურეთის მეფეს.

*1-19. თქვენ აგრძელებთ საუბარს ვასაშათას [დამარცხებას] და ხურის მიწის დაპყრობაზე. შენ ნამდვილად დაიპყრე იგი იარაღის ძალით. დაიპყრე [...] და გახდი დიდი მეფე. მაგრამ რატომ აგრძელებ ძმობაზე და ამანუსის მთის მონახულებაზე საუბარს? ნუთუ ეს არის ძმობა? და ნუთუ ეს არის ამანუსის მთის მონახულება? რა მიზეზით უნდა მოგწერო ძმობის შესახებ? ასე უცნაურად ვინ წერს ვინმეს ძმობაზე? ვინც კარგ ურთიერთობაში არ არიან ერთმანეთთან, ნუთუ ერთმანეთს ძმობის შესახებ წერენ ხოლმე? რისთვის უნდა მოგწერო ძმობაზე? ნუთუ მე და შენ ერთი დედისგან დავიბადეთ? როგორც [ზაბუაჩემმა] და მამაჩემმა არ მისწერეს ასურეთის მეფეს [ძმობის შესახებ], შენც ნუ მწერ [ძმობის შესახებ] და (მიწოდებ) დიდ მეფეს. [ეს ჩემი] სურვილი [არ არის].*

### 18. ხეთების მეფე ხათუსილი III - ახიავას მეფეს (=ე.წ. „თავაგალავას წერილი“)

მიუხედავად იმისა, რომ თავაგალავა ამ ტექსტში<sup>38</sup> ერთ-ერთი პერიფერიული გმირია, ხეთოლოგებს შორის ეს ტექსტი მისი სახელით არის ცნობილი. ამ დროს, ტექსტის მთავარი ადრესატია ახიავას მეფე ფიამარადუ.

ტექსტი პირველად წაიკითხა და განიხილა ემილ ფორერმა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. მან ივარაუდა, რომ ტექსტში გაჩნდა პირველი ცნობები ტროას ომის შესახებ. თავაგალავა - მიკენური ბერძნული სახელის - ეტეოკლეს ხეთური ვარიანტი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, მისმა ამ მოსაზრებამ შემდგომ პერიოდში არაერთი კრიტიკა დაიმსახურა, თუმცა, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში ახალი მტკიცებულებების შუქზე ამ იდეას არაერთმა მკვლევარმა დაუჭირა მხარი.

*წინა მხარე:*

*1-15. იგი მივიდა და დაანგრია ქ. ათარიმა, და გადაწვა იგი სამეფო ციხე-სიმაგრესთან ერთად. როდესაც ლუქას კაცებმა თავაგალავას აცნობეს ეს, იგი ამ ქვეყნებში მოვიდა, მათ მეც შემატყობინეს, ისე, რომ მეც ჩამოვედი ქვემოთ ამ ქვეყნებში. როდესაც ქ. სალაფას მივალწიე, მან (=ფიამარადუმ) გამომიგზავნა კაცი შესახვედრად (და ასე მითხრა): „შენს ვასალად მაქციე. გამომიგზავნე უფლისწული, რომელიც მე ჩემს უდიდებულესობასთან მიმაცილებს“. მაშინ გავუგზავნე უფლისწული და დავაბარე: „მიდი დაუდექი ეტლით გვერდით და წამოუძებო აქეთ“. მაგრამ იგი (=ფიამარადუ) გაებუტა უფლისწულს და უარი უთხრა. მაგრამ განა უფლისწული არ არის მეფის დარი? (უფლისწულს) მისი ხელი თავის ხელში ეჭირა, მაგრამ მან მაინც უარი უთხრა და დაამცირა იგი ამ ქვეყნების წინაშე. და (თითქოს ეს არ იყო საკმარისი,) დამატებით ეუბნებოდა: „მომეცი ამ ადგილის მეფობა. თუ ამას არ იზამ, არ გეახლები ხათში“.*

<sup>37</sup> Beckman (1996) N 24a.

<sup>38</sup> VAT 6692; KUB 14.3. Forrer (1929) 95-232; Sommer (1932) 2-194; Garstang and Gurney (1959) 111-114; Bernabé and Álvarez-Perdoza (2004), 246-50; Miller (2006) 240-247; Hoffner H. A., (2009) N 101, 296-313.



16-31. „როდესაც ქ. ვალივანდას მივალწი, (ფიამარადუს) ცნობა გავუგზავნე: „თუ გსურს ჩემი ვასალი გახდე, ქ. იალანდაში რომ მოვალ, ქალაქში არც ერთი შენი კაცი არ დამხვდეს. არავინ შემოღებულა უკან და ჩემო ბრძანებით ჩემს მიწას შემოღებულადი. მე პირადად ვზრუნავ ჩემს ქვეშევრდომებზე“. მაგრამ როდესაც ქ. იალანდას მივალწი, მტერმა (ე.ი. ფიამარადუმ) სამ ადგილას გამიჩალა ბრძოლა. იმის გამო, რომ სამივე ფრონტი მოუხერხებელ ადგილას იყო, აღმართი ფეხით ავიარე და მტერი იქ დავამარცხე. მოსახლეობა იქ კი... მაგრამ მისი ძმა ლახურცი ჩამისაფრდა. ჩემო ძმაო, უბრალოდ გეკითხები, ასე არ იყო? ლახურცი (თავად) არ იბრძოდა? ნუთუ იგი ქ. იალანდას შუაგულში არ ვიპოვნე? აქედან... იალანდას ამბავი: „მე არ წავალ ქ. იალანდაში“.

32-34. მე, დიდმა მეფემ, დავიფიცე, რომ ეს ყველაფერი, რის შესახებაც მოგწერე, მართლაც ასე მოხდა. დაე, ამინდის ღვთაებამ და (სხვა) ღვთაებებმა ისმინონ (და მოწმედ დამიდგნენ), როგორ იყო ყველაფერი სინამდვილეში.

35-52. ხოლო როდესაც იალანდას ქვეყანა გავანადგურე, ბოლოს და ბოლოს იგი სრულიად გავანადგურე და მხოლოდ ქ. ატრია, ერთი ციხე-სიმაგრე დავტოვე. ამ ქალაქის გულისთვის... კვლავ ავედი იქ... სანამ იალანდას ქვეყნად ვიყავი და გავანადგურე მთელი ქვეყანა... [არ წავყოლილვარ] მშვიდობიან ტყვეებს უკან. და როდესაც წყალმომარაგება დაილია და ჩემი ჯარი დაცოტავდა, ასე რომ, მე არ გავყევი... სამაგიეროდ ამოვედი... თუ..., ... არა... ის ... ქ. აბა...-ში... ქ. მილავანდაში: „აქ მოდი ჩემთან.“ კვლავ ჩემს ძმას... საზღვარი გავუგზავნე შეტყობინება; „ვედილობდი მის ხელში ჩაგდებას, ვინაიდან ფიამარადუ გამუდმებით უტყვს ამ ჩემს მიწას, ნუთუ ეს ჩემმა ძმამ არ იცის?“

53-74. მაგრამ როცა ჩემი ძმის მაცნე მოურთმევია, არაფერი მოუტანია... არც საჩუქრები მოურთმევია. მაგრამ მან ასე თქვა: „(ახიავას მეფემ) ცნობა გაუგზავნა ათფას: „ფიამარადუ გადაეცი ხეთების მეფეს“. ასე რომ წავედი ქ. მილავანდაში... იქ იმ ცნობისთვის გავწიე: „დაე, ჩემი ძმის ქვეშევრდომებმა ისმინონ, რაც უნდ ვუთხრა ფიამარადუს“. ფიამარადუ გემით გაიქცა, ხოლო ათფა და აივანა უსმენდნენ ბრალდებებს, რომლებიც მე მას წავუყენე. მაგრამ იმის გამო ხომ არ მაღავენ (ისინი ჩემს) სიტყვებს, რომ ფიამარადუ ათფას და აივანას სიმაძრია? მე მათ დავაფიცე, რომ საქმის ვითარება მოეხსენებინათ. თუკი ეს ასე არ არის, რომ მე უფლისწული გავგზავნე (და დავაბარე): „წადი, გაეშურე იქ, ხელთ იგდე ფიამარადუ, ეტლზე მოიყენე და ჩემთან მოიყვანეო?“ მაგრამ (ფიამარადუმ) უარი განაცხადა. როდესაც თავად თავაგალავა, რომელიც (ახიავას) დიდ მეფეს (წარმოადგენდა), ქ. მილავანდაში შევიდა, იქ ჩემი ძმისშვილი ქურუნთა დახვდა და (ხათის) დიდი მეფე მოვიდა შენს შესახვედრად. მართალია, ქურუნთა არ იყო ძლიერი მეფე და მან... ვერ... რატომ არ მოვიდა იგი ჩემს სანახავად? ნუთუ (ფიამარადუმ) ასე თქვა: „შემეშინდა, რომ ჩემს მოკვლას განიზრახვიდნენო“, იმ დროს, როდესაც მას ჩემი საკუთარი მეფისწული ვაჟი გავუგზავნე და მას დავავალე: „წადი და ფიცი დაადებინე, ხელი ჩასჭიდე და აქ მომიყვანე?“ ხოლო რაც შეეხება მისი მოკვლის სავარაუდო შეთქმულებას, რისიც შეეშინდა, ნუთუ ხათის ქვეყნად ნებადართულია მკვლელობა? ნამდვილად არ არის.

II 9-50. მაგრამ როდესაც ჩემი ძმის დესპანმა მაუწყა: „შეიპყარი ეს ადამიანი (ფიამარადუ?) და არ...“ მე მივუგე: „ჩემი... რომ მეთქვა, ან ჩემს ძმას – თუ მისი... სიტყვები გამეგონა... მაგრამ ახლა ჩემმა ძმამ, დიდმა მეფემ, ჩემმა ტოლმა, მომწერა. და ნუთუ თანასწორის სიტყვებს არ უნდა დავუგდო ყური? მე თავად წავედი იქ ... რომ ... მქონოდა ... ჩემს ძმას ასე უნდა ეთქვა კვლავ: „მან არ ისმინა ჩემი სიტყვები და არც ჩემი თხოვნა შეუსრულებია...!“ ნუთუ ჩემს ძმას არ ვკითხავდი ამის შესახებ? ... შემდეგ წამოვედი და როცა იქ მივედი, ათფას ვუთხარი: „იმიტომ რომ... გამოგზავნა? „წამოიყვანეთ იგი აქედან ხათის მეფესთან“, იმიტომ მოიყვანეთ იგი აქ! და

როგორც მან ადრე უგულველყო ჩემი სიტყვები.. და თუ ფიამარადუ იტყვის ამას: „მეშინიაო“, მე გამოვგზავნი ერთ უფლისწულს... ან ძმას გავუგზავნი და დარჩეს იგი თავის ადგილზე“. მაგრამ (ფიამარადუ) მაინც ამბობდა: „მე ვერ ვერევი ჩემს შიშს“, ათფამ ასე მითხრა: „თქვენმა უდიდებულესობამ „ხელი“ უნდა მისცეს „შვილს“. მან მისცა... ერთი და ისიც... () ... ბევრი რომ გამეკეთებინა, მე მას მივატოვებდი.... მე დავაფიცე ათფამს? გეფიცები და მე მას „ხელი“ გავუწოდე. ... „გზაზე დაგაყენებ“ და ... შენთვის ... სიტყვა...

ტექსტი დამტვრეულია

II 56-77; III 1-6. იი 56-77, იიი 1-6. ...ასე რომ, ჩემი ძმის გამო, კიდევ ერთხელ საერთოდ არ მიმოქმედია. ახლა თუ შეიძლება ის უკმაყოფილო იქნება ჩემი ძმისა და ეტყვის: „მე წავალ ხათის მეფესთან. დაე, მან გზაზე დამაყენოს,“ მე ახლახან გავგზავნე დაბალა-თარხუნთა, ეტლოსანი. (ეს) დაბალა-თარხუნთა დაბალი რანგის კაცი არ გეგონოს: (ჩემი) ახალგაზრდობიდან ეტლზე იჯდა ჩემი ეტლის გვერდით. თავგალავაც. ნუთუ ფიამარადუს არ შევთავაზე მშვიდობა? ხათში მშვიდობა ასეთია - თუ ისინი ვინმეს გაუგზავნიან ... მათ არ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მას. მაგრამ რაც შეეხება მშვიდობას, მე ასე მივუგე: „მოდით, მიჩვენე შენი საქმენი! მაშინ მე დაგაყენებ გზაზე და ჩემს ძმას მივწერ, როგორ დაგაყენებ გზაზე. თუ მოგეწონება (ჩემი შემოთავაზება), დაე, ასე მოხდეს. მაგრამ თუ არ მოგეწონება, მაშინ ჩემი კაცი უკან დააბრუნებს მას ახიავას ქვეყანაში ისევე, როგორც მოვიდა (შენთან ერთად). წინააღმდეგ შემთხვევაში, დაე, ეს ეტლი დარჩეს თავის ადგილზე, სანამ ის (=ფიამარადუ) მოდის და სანამ ის იქ დაბრუნდება“. ვისია ეს ეტლი? იმის გამო, რომ მას (ცოლი) ჰყავს დედოფლის ოჯახიდან, ხათში დედოფლის ოჯახს ძალიან დიდ პატივს სცემენ, განა ის ჩემთვის ბევრად მეტი არ არის, ვიდრე მხოლოდ სიძე? მაგრამ ის დარჩება თავის (=ფიამარადუს) ადგილზე, ხოლო (ამალა) (ჩემთან) მოვა და შემდგომ მილავანდაში დაბრუნდება. შენ კი, ჩემო ძმაო, კარგად იზრუნე მასზე. გარდა ამისა, ჩემო ძმაო, გადაეცით მას ჩემი მშვიდობის დასტური: „თუ... თქვენ არ შესცოდავთ მის უდიდებულესობის წინაშე, მე კვლავ შეგიშვებთ თქვენს მიწაზე“. დაგანახებთ, როგორ დაგაყენებ მას გზაზე. მინდა, ჩემს ძმას დავანახო, როგორ დაგაყენებ მას გზაზე.

III 7-21. (იიი 7-21). ...ხოლო თუ არ იქნა ნდობა? თუნდაც ეს (შეთანხმებები), მაშინ, ჩემო ძმაო, გააკეთე... ამით... ბევრი მშვიდობიანი ტყვე... გაიქცა ჩემს მიწაზე. ჩემო ძმაო... ჩემთვის 7000 მშვიდობიანი მოქალაქე ტყვეები. ჩემი კაცი მოვა. შენ, ჩემო ძმაო, უნდა დააყენო მოსამართლენი სასამართლოში? რადგან (ფიამარადუს) ძალით ჰყავს გატაცებული.... ჩემო ძმაო.... 18-40 ძალიან დამტვრეულია თარგმანისთვის.

III 41-51. იიი 41-51. ... ის ასევე ეკუთვნის X-X-X-ილი-ს. სახურუნუვას ვაჟი... დაე გაქცეულები დაუბრუნდნენ ჩემს ძმას: იქნება ეს ბატონი იქნება თუ მსახური. ეს დასაშვებია. ნუთუ დიდ მეფეს, ჩემს თანასწორს, სურს...? როდესაც ჩემი ლტოლვილები მის მხარეს გადავიდნენ, სახურუნუვამ ... თავის შვილს, ის ადგა და წავიდა მასთან. ... ჩემი ძმაც ...

III 52-62. შემდგომ, ... (ფიამარადუ) ამბობს: „მე გავემურები მასას (და) ქარქიას მიწაზე, ხოლო ტყვეებს, სახლეულს, ცოლს, შვილებს და ოჯახს აქ დავტოვებ“. რას ნიშნავს ეს, როდესაც ის ტოვებს ყველაფერს, ცოლს, შვილებს და მთელ სახლეულს ჩემი ძმის მიწაზე, შენი მიწა იცავს მას, ამ დროს ის გამუდმებით არბევს ჩემს მიწას! და როგორც კი ამაში ხელს ვუშლი, შენს მიწაზე ბრუნდება. ნუთუ, ჩემო ძმაო, მოგწონს მისი ეგ საქციელი?

III 63-69, IV 1-15. (და თუკი არა), ჩემო ძმაო, მას ერთი რამე მაინც მისწერე: ან ადექი და წადი ხათის ქვეყანაში, (რადგან) შენმა ბატონმა ანგარიში გაგისწორა, (ანდაც) მოდი ახიავას ქვეყანაში და სადაც დაფუძნდები, დარჩი იქ.... ადექი... და სხვა ადგილას გადასახლდი! თუკი მტრობ ხათის მეფეს, უმტრე! სხვა ქვეყნებსაც ჩემს ქვეყანას ნუ მტრობ! თუკი შენი გული ქარქიას (ან) მასას მიწას ეკუთვნის, გასწიე იქით! ხათის მეფემ და მე, იმის გამო, რომ ჩვენ

ვილუსასთვის მტრობა გვქონდა, ერთმანეთთან მშვიდობა დავამყარეთ. ... „ჩვენთვის ომი არ იქნება კარგი“. ასე რომ, გაუფხავნე (ეს ცნობა) მას! მაგრამ თუ მილავანდას მარტო დატოვებ, ჩემი მსახურები ნებით გაიქცევიან და, ჩემო ძმაო, მე ... მილავანდას ქვეყანაში.

IV 16-25. IV 16 ...ფიამარადუ... და მე, ჩემო ძმაო, ამ ამბავზე... გამომიგზავნე! რადგან ვილუსას გამო ვმტრობდით, ხოლო შემდგომ მშვიდობა დავამყარეთ, მეტი რა არის (განსახილველი)? თუ ერთი მხარე აღიარებს თავის შეცდომას მეორეს წინაშე, მაშინ რადგანაც არ უარყოფს უკვე აღიარებულს თავის თანამოაზრესთან. იმიტომ, რომ მე ვაღიარე ჩემი ცოდვა, ჩემო ძმაო, ჩვენ ძმებს შორის აღარ უნდა იყოს მტრობა.

IV 27-31. დამტვრეულია.

IV 32-57 ... მაგრამ ჩემმა ძმამ ერთხელ მომწერა შემდეგი: ... შენ მტრულად მომექცევი“. მაგრამ იმ დროს, ძმაო, ახალგაზრდა ვიყავი; (იცოდე, რომ) მაშინ რაც მოგწერე, განგებ არ მიქნია .... განკითხვის სიტყვები ადვილად სწყდება ბაგეებს, ... ჯარიკაცი შეიძლება იყოს უფუნური ან სულელი, ... დაე, მზის ღვთაებამ გაგვსაჯოს. თუ ეს სიტყვა ... ჩემთან ...მე ძალა გავგზავნე. ეს ამბავი ჩემთან ზეპირად მოვიდა... დიდ მეფესთან. მაშ მოდი, ეს საქმე ჩვენს თვალწინ დავიდოთ (განსასჯელად). და, ჩემო ძმაო, გაგზავნე შენი მსახური..... დაე, თავი მოაჭრან! და თუ შენმა მაცნემ ჩემი გზავნილი შეცვალა, მასაც ასევე მოაჭრან თავი! და თავს რომ მოაჭრიან, დაჩეჩვონ და ფეკილივით დაფქვან! სად წავა მაშინ სისხლი? ...მიუგო შენმა მსახურმა... და თუკი ეს სიტყვებია შენი პირიდან არ გამოსულა, მაშინ მსახური... ნუთუ მას არ უთქვამს ეს? თუკი დიდმა მეფემ, ჩემმა თანასწორმა, ეს თქვა...

## 19. ხეთების მეფე თუთხალია IV - მირას მეფე თარქასნავას (ე.წ. „მილავათას წერილი“)

ტექსტის<sup>39</sup> ავტორია ხეთების მეფე თუთხალია IV, და მისი დაწერის სავარაუდო თარიღი უნდა იყოს მისი მეფობის ბოლო პერიოდი - დაახლ. ქ.წ. 1215-1210. იგი წერს მირას მეფეს, თარქასნავას. მირას ქვეყანა ნახსენები იყო უკვე თუთხალიას დიდი ბაბუის - სუფილულიუმა I-ის დროიდან, როდესაც მან ილაშქრა მირას ქვეყანაში (ქ.წ. მე-14 ს.). მირას გეოგრაფიული მდებარეობისა და გავრცელების შესახებ ფიქრობენ, რომ იგი მდებარეობდა მეანდრის ველზე, მდინარე სება იყო ჩრდილოეთით, ჰერმოსის ველზე და, შესაძლოა, კაიკოსის ველის ჩათვლით ჩრდილოეთით.

ამ ტექსტის უმეტესობა იმდენად ცუდადაა შემონახული, რომ ძნელია მოვლენების მიმდინარეობის ზუსტი აღწერა.

1. ასე ამბობს მისი უდიდებულესობა: „უთხარი...-ს, ჩემო შვილო:

2-19. მე, ჩემო უდიდებულესობავ, აგიყვანე შენ, შვილო,... კაცი, და შენ მიცანი მეუფედ. მე მოგეცი მამის მიწა შენთვის. მაგრამ მამაშენი... ჩემს სასაზღვრო ტერიტორიებს სურდა. ... როცა... და როცა მამაშენმა გაილაშქრა ქალაქ ..., მან დაიმორჩილა ქალაქი..., და მან ..... ჩემო უდიდებულესობავ, ..... მაშინ მეც დავიწყე, ჩემო უდიდებულესობავ. საომარი მოქმედებები და დაავმარცხე მამაშენი. მაგრამ მე, ჩემო უდიდებულესობავ, წამოგიყვანე... შვილო ჩემო, და ძმურად მოგექეცი. ... გარდა ამისა, ცის მზის ღმერთის ქვეშ დავიფიცეთ... თქვენ აღიარეთ ჩემი უდიდებულესობა ბატონად. ჩემო უდიდებულესობავ, ამ ფიცით ზღვა ისევ ჩემს საზღვრად აქცია... რაც არ უნდა იყოს ბოროტი პირები... და მეტიც, მამაშენმა გაიგო....

<sup>39</sup> KUB 19.55 + KUB 48.90; Forrer (1929) 233-261; Hoffner (2009) 313-321; Beckman (1999) 144-146.

20–21. მაგრამ ახლა, თუმცა მამაშენი ... მე, შენ, შვილო, უნდა დაიცვა (ჩემი) კეთილდღეობა. ...არ უნდა გინდოდეს? ჩემი მიწა მამა მეფობისთვის? ... მან აიღო? გულში...ს? ჩემი სასაზღვრო ტერიტორია ისინი თავს დაესხმებიან, მაშინ ... თქვენ არ დაარღვევთ ფიცს. როგორც ერთხელ მომეცა მამაშენი, შენც ისე არ უნდა მომეცე მე! და თუ ... წახვალ, ... მე, ჩემო უდიდებულესობავ, არ გაგიწევთ დახმარებას?

31-35. მაგრამ რაც არ უნდა ბოროტება ჩაედინა მამაშენს ჩემ წინააღმდეგ..., ეს საქმე უდიდესი დანაშაულია. ...ქალაქების საკითხი და... ის არ იყო.... მე მივწერე მამაშენს... ამის შესახებ... ეს საკითხი და მან არ მოაგვარა. თუ შენ არ მოაგვარებ, შენ, შვილო, დანაშაულს ჩაიდენ. რადგან იქნება ფიცის ქვეშ პირობის გადასვლა.

36-38. მაგრამ მამაშენი... ჩემს წინააღმდეგ ბოროტებაში... მათ იციან...

15-20 ხაზი დაკარგულია.

უკანა მხარე

1-17. მაგრამ თუ, შვილო, იტყვი: „თქვენო უდიდებულესობამ არ... როგორ გავხდი აჯანყებული? თუ, შვილო, აგაფურუსიას საქმე დადგა, მე, ჩემო უდიდებულესობავ, რადგანირად მაქვს... გაქცეულის საქმე. ნუთუ არ არის საჭირო გაქცეულის დაბრუნება? ... ჩვენ დავდეთ პირობა ქარიშხლის ღვთაების ფიცის ქვეშ: „ჩვენ დავაბრუნებთ გაქცეულს“. იმის გამო, რომ მამაშენმა ...-ედ ქალაქ ტარა-...-ის ქურუმმა, მან გაგზავნა... მოგვიანებით. ...., არ მოვტრიალდი? ის მისკენ? თუ აგაფურუსია იყო.... იმ დროს, როდესაც ფიამარადუ აგაფურუსია ... თუ შენ, ჩემო შვილო, იცოდი..., მე? აცნობე მას (ასე): ... და ის სანაცვლოდ ... მთელი გულით... აგაფურუსიას საქმე...

დაახლ. 13 ხაზი აკლია.

32-44. ... მას... მაგრამ ის... და უფრო მეტიც, ჯარები... ის წავიდა. შემდეგ ღამით ის ... ქვემოთ. ... და როცა მისი ბატონი ..... ის გაიქცა.... შემდეგ მათ სხვა ბატონი შექმნეს. მაგრამ მე, ჩემო უდიდებულესობავ, არ ვიცნობდი მას. ქულანაციითმ შეინახა ფირფიტები, რომლებიც მე დავწერე ვალმუსთვის, და მან ახლა მოგიგვარა ისინი (შენ), ჩემო შვილო. მოძებნეთ ისინი! ახლა, ჩემო შვილო, სანამ შენ ზრუნავ ჩემი უდიდებულესობის კეთილდღეობაზე, მე, ჩემო უდიდებულესობავ, ჩემს კეთილ ნებას ვენდობი. გამოუშვი ვალმუ ჩემთან, ჩემო შვილო, რათა ხელახლა დავადგინო იგი მეფედ ვილუსას ქვეყანაში. როგორც ადრე იყო ვილუსას მიწის მეფე, ახლაც ასე იქნება! როგორც ადრე იყო ჩვენი ვასალი, ახლაც ასევე იქნება ჩვენი ვასალი!

45-47. როგორც მე, ჩემო უდიდებულესობავ, და შენ, შვილო, დავადგინეთ საზღვრად მილავანდას მიწა, თქვენ არ უნდა უგულუბელოთ თქვენი ... .. მე, ჩემო უდიდებულესობა, ვენდობი. მტკიცედ თქვენი კეთილი ნებით. და ის... .. რომელიც მე არ მოგეცით მილავანდას მიწის სასაზღვრო ტერიტორიასთან ერთად...

ქვემო ხაზი

1-5. მამაშენი ... .., რომელიც ყოველთვის სურდა ჩემი უბედურება, და რომელიც იყო უბედურების მთავარი მომტანი ჩემი უდიდებულესობის საქმეებისთვის იყო ... ეს ჩემთვის. მამაშენმა დაიქადა, რომ ჩემი ვასალების ბატონი იყო. და როცა მანამდე იკვებნიდა ქალაქ არინას ფლობით, მან მითხრა: „..... შევინარჩუნებ“. მაგრამ როცა მამაშენმა არ მომცა მძევლები ქალაქების უთიმასა და ათრიას, მაშინ მე ... და გავუგზავნე ქულანაციითი.

1?-6?. თქვენც ... საქმე ქალაქ ავარნასა და ფინას ეხება? ... . მე, ჩემო უდიდებულესობავ, ... მასში მე ვერ დავინახე ... მკლავისა და ისრის საშუალებით.... თქვენი კეთილდღეობის გათვალისწინებით, ვერ ვხედავ... . თვალი ავარიდე (და ასე ვთქვი) ავარნასა და ფინას საკითხზე: თქვენც თქვით: „მომეცი ავარნასა და ფინას მძევლები. და მე გადმოგცემთ უთიმასა

და ატრიას მძევლებს". მე გადავეცი ავარნას და ფინას მძევლები შენთვის, მაგრამ შენ (შენი მძევლები) არ მომიყვანე. სულაც არ არის სწორი. და შენი ბოროტება..

## 20. ხეთების მეფე თუთხალია IV - ასურეთის მმართველ ბაბა-ახ-იდინას

ტექსტი<sup>40</sup> შესრულებულია ხეთურ ენაზე და მისი ადრესატია ასურელი იურიდიული მოხელე, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეჭირა ბაბუის, მამისა და შვილის - ადადნირარი I-ის (დაახლ. ქ.წ. 1307-1274), სალმანასარ I-ისა (დაახლ. ქ.წ. 1280-1260) და თუქულთი-ნინურთა I-ის (დაახლ. ქ.წ. 1244-1208) სასამართლოში. ამ ერთ ფირფიტაზე რამდენიმე ასურული სასამართლოს ტექსტია შესული, რომლებიც ძალიან ფრაგმენტულია და მათ ადრესატებსაც კი ვერ ვარკვევთ.

ტექსტის შინაარსი სავარაუდოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის მთებში მდებარე - ფაფანხის რეგიონს ეხება, სადაც თუქულთი-ნინურთა I-მ თავისი მეფობის დასაწყისში ილაშქრა.

*უკანა მხარე*

*8. ასე ამბობს მისი უდიდებულესობა: ბაბა-ახუ-იდინას უთხარი:*

*9-24. იმის გამო, რომ შენი ბატონი გარდაიცვალა, ხალხმა შენი ბატონის შვილი აირჩია და ვინაიდან ღვთაებამ მას ჯერ კიდევ მამამისის დროს თავისი გული უბოძა... აქ მყოფნი ვინც არიან, მისი სახელით, ცილი-აშური და ამურუ-აშარედი, მათ მიამბეს ამის შესახებ, რომ იგი ახლახან დაჯდა მამის ტახტზე და მას, ხარივითაც<sup>41</sup> კი არა... . იგი კვლავ ამბობდა ამას: „მინდა შევასრულო ეს! უცხო მეფეები ჩემს მიმართ მტრულად თუ იქნებოდნენ განწყობილნი, ჩემს წინააღმდეგ გამოვიდოდნენ საბრძოლველად და მე სახელს მოვიპოვებდი“. ახლა ძალიან... და ვინაიდან ჯერ არ... განსაკუთრებით მთებში, მტერი, რომლის წინააღმდეგაც ის მიდის, დაამარცხეს... ღვთაების ბრძანებით. ვინაიდან მამამისი გარდაიცვალა და იგი ახლახან დაჯდა მამის ტახტზე, ის პირველი ლაშქრობა, რომელსაც იგი აწყობს, ისეთი უნდა იყოს, რომ მას სამჯერ-ოთხჯერ მეტი ლაშქარი ჰყავდეს. თუ ეს არის..., ან რაიმე ძლიერი პოზიცია მოიპოვა, მაშინ პირველად მათ ... ამ სახით უნდა იმოქმედონ. მაგრამ მიწები, რომლებიც მამამისმა იარაღის ძალით დაიპყრო. ... იმიტომ, რომ რასაც ისინი მიყვებიან ფაფანხის ქვეყნის შესახებ: „... და ეს ძალიან მოღალატე მთიანეთია“... . იმის გამო, რომ იგი ახლაც აგრძელებს ამაზე საუბარს... ისინი ამას არ გააკეთებენ. ღვთაებები ამგვარად... და მანამდე, სადაც არ უნდა წასულიყო - თუ მოსახლეობა..., ან ეს ქვეყნის რომელიღაცა ლაშქარია...*

*გაგრძელება დამტვრეულია*

<sup>40</sup> KUB 23.103, Otten H. (1959-1960); Hagenbuchner (1989a) 252-260; Hoffner (2009) 324-326; Beckman G. (1999).

<sup>41</sup> გაურკვეველია, რა კონტექსტშია ნახსენები „ხარი“.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

Keilschrifttexte aus Boghazköy (KBo), Berlin.

Kelischrifturkunden aus Boghazköy (KUB), Berlin.

<https://www.hethport.uni-wuerzburg.de/CTH/>

ღამბაშიძე, მ., (2012). *ხეთური დიპლომატია*, აკადემიური წიგნი, თბილისი.

ღამბაშიძე, მ., (2014). ჭექა-ქუხილის ძველანატოლიური რიტუალი, აღმოსავლეთმცოდნეობა.

Гамбашидзе, М., (2003). *О локализации города Цалпа по данным "Текста Анииты"*, "Археология, Этнология и Фольклористика Кавказа (Материалы международной конференции, Ереван, 17-18 Ноября, 2003", Ереван: 103-104.

Beckman, G., (1983). *Mesopotamians and Mesopotamian Learning at Hattuša*, Journal of Cuneiform Studies (JCS) 35.

Beckman, G., (1999). *Hittite Diplomatic Texts*, Atlanta.

Bernabé A., Álvarez-Perdoza J. A., (2004). *Historia y Leyes de los Hittitas. Textos del Imperio Antiguo. El Código*. AKAL/Oriente 3.

Cordani, V., (2017). *Lettere fra Egiziani e Ititi*.

Charpin, D., (2000). *Tigunānum et l'horizon géographique des archives de Mari*, NABU 58, 63-64.

*Chicago Assyrian Dictionary* (CAD) (1962).

*Context in Scripture 1* (CoS) (1977). Brill.

De Zorzi, N., (2017a). *Teratomancy at Tigunānum: Structure, Hermeneutics, and Weltanschauung of a Northern Mesopotamian Omen Corpus*, Journal of Cuneiform Studies, vol. 69: 125–150.

De Zorzi, N., (2017b). *Another Teratomantic Tablet from Tigunānum*, Wiener Zeitschrift Für Die Kunde Des Morgenlandes, vol. 107, 2017, 11–18.

Edel, E. (1994). *Die Ägyptisch-Hethitische Korrespondenz aus Boghazköy in Babylonischer und Hethitischer Sprache (ÄHK) I*.

Forrer, E., (1929). *Forschungen*. 2 Band, 2 Heft.

Gambashidze, M., (2017). *The Reason of Hattušili III's Illness? (On Interpretation of one idiom in "Apology of Hattušili III")*, AGIBAS 9, 33-38.

Garstang, J. and Gurney, O.R., (1959). *The Geography of the Hittite Empire*.

Gurney, O.R., (1992). *Hittite Geography: Thirty Years on*, in: Fs. Alp, 213-221.

Hagenbuchner, A., (1989a). *Die Korrespondenz der Hethiter*, Teil, Theth 15.

Hagenbuchner, A., (1989b). *Die Korrespondenz der Hethiter*, II Teil, Theth 16.

Heinhold-Krahmer, S., (1977). *Arzawa. Investigations into its history according to Hittite sources*, TH 8, Heidelberg.

Hoffner, H.A., (2009). *Letters from the Hittite Kingdom*.

Houwink ten Cate, (1963). *The Date of the Kurustama Treaty*, in: Bibliotheca Orientalis 20, 274.

Houwink ten Cate, (1983-1984). *Sidelights on the Ahhiyawa Question from Hittite Vassal and Royal Correspondence*, in: JEOL 28, 33-79.

Justel, J. J., (2018). *Remarkable Women from Tikunani - The Role of Women in Palatial Administration*, in: Budin, Stephanie Lynn (ed.). Gender and methodology in the ancient Near East - Approaches from Assyriology and Beyond. Universitat de Barcelona. 117–128.

Liverani, M., (1998). *Le lettere di el-Amarna*, TVOA 3.

- Miller, J., (2006). *Hethitische Texte. Briefe aus hethitischen Archiven*, TUAT Neue Folge 3.
- Moran, W.L., (1992). *The Amarna Letters*, London.
- Otten, H., (1959-60). *Ein Brief aus Hattusa an Babu-ahu-iddina*, AfO 19: 39-46.
- Schwemmer, D., (2006). *Briefe aus dem Archiv von el-Amarna*, TUAT Neue Folge 3.
- Sommer, F., (1932). *Die Ahhiyawa-Urkunden*, ABAW 6.
- Ünal, A., (2007). *Multilinguales Handwörterbuch des Hethitischen*.
- Wilhelm, G., (2006). *Texte der Umwelt des Alten Testaments*, Neue Folge. Band 3: Briefe.
- Wilhelm, G., Akdoğan, R., (2010). *Ein Täfelchen über Gerstenrationen aus Tiginānu (?)*, AoF 37 1, 159-162.

## REFERENCES

- Keilschrifttexte aus Boghazköy (KBo), Berlin.
- Kelischrifturkunden aus Boghazköy (KUB), Berlin.
- <https://www.hethport.uni-wuerzburg.de/CTH/>
- gambashidze, m. (2012). *kheturi diplomatia*, BSABC 9, tbilisi. [Gambashidze M., (2012) Hittite Diplomacy, BSABC 9]. Tbilisi.
- gambashidze, m. (2014), *cheka-kukhilis zvelanatoliuri rituali*, agmosavletmcodneoba.
- Gambashidze, M. (2003). O lokalizacii goroda Calpa po dannym "Teksta Anitty", "Arheologija, Jetnologija i Fol'kloristika Kavkaza (Materialy mezhdunarodnoj konferencii, Erevan, 17-18 Nojabrja, 2003", Erevan: 103-104.
- Beckman, G., (1983). *Mesopotamians and Mesopotamian Learning at Hattuša*, Journal of Cuneiform Studies (JCS) 35.
- Beckman, G., (1999). *Hittite Diplomatic Texts*, Atlanta.
- Bernabé A., Álvarez-Perdoza J. A., (2004). *Historia y Leyes de los Hittitas. Textos del Imperio Antiguo. El Código*. AKAL/Oriente 3.
- Cordani, V., (2017). *Lettere fra Egiziani e Ittiti*.
- Charpin, D., (2000). *Tiginānum et l'horizon géographique des archives de Mari*, NABU 58, 63-64.
- Chicago Assyrian Dictionary* (CAD) (1962).
- Context in Scripture 1* (CoS) (1977). Brill.
- De Zorzi, N., (2017a). *Teratomancy at Tiginānum: Structure, Hermeneutics, and Weltanschauung of a Northern Mesopotamian Omen Corpus*, Journal of Cuneiform Studies, vol. 69: 125–150.
- De Zorzi, N., (2017b). *Another Teratomantic Tablet from Tiginānum*, Wiener Zeitschrift Für Die Kunde Des Morgenlandes, vol. 107, 2017, 11–18.
- Edel, E. (1994). *Die Ägyptisch-Hethitische Korrespondenz aus Boghazköy in Babylonischer und Hethitischer Sprache (ÄHK) I*.
- Forrer, E., (1929). *Forschungen*. 2 Band, 2 Heft.
- Gambashidze, M., (2017). *The Reason of Hattušili III's Illness? (On Interpretation of one idiom in "Apology of Hattušili III")*, AGIBAS 9, 33-38.
- Garstang, J. and Gurney, O.R., (1959). *The Geography of the Hittite Empire*.
- Gurney, O.R., (1992). *Hittite Geography: Thirty Years on*, in: Fs. Alp, 213-221.

- Hagenbuchner, A., (1989a). *Die Korrespondenz der Hethiter*, Teil, Theth 15.
- Hagenbuchner, A., (1989b). *Die Korrespondenz der Hethiter*, II Teil, Theth 16.
- Heinhold-Krahmer, S., (1977). *Arzawa. Investigations into its history according to Hittite sources*, TH 8, Heidelberg.
- Hoffner, H.A., (2009). *Letters from the Hittite Kingdom*.
- Houwink ten Cate, (1963). *The Date of the Kurustama Treaty*, in: *Bibliotheca Orientalis* 20, 274.
- Houwink ten Cate, (1983-1984). *Sidelights on the Ahhiyawa Question from Hittite Vassal and Royal Correspondence*, in: *JEOL* 28, 33-79.
- Justel, J. J., (2018). *Remarkable Women from Tikunani - The Role of Women in Palatial Administration*, in: Budin, Stephanie Lynn (ed.). *Gender and methodology in the ancient Near East - Approaches from Assyriology and Beyond*. Universitat de Barcelona. 117-128.
- Liverani, M., (1998). *Le lettere di el-Amarna*, TVOA 3.
- Miller, J., (2006). *Hethitische Texte. Briefe aus hethitischen Archiven*, TUAT Neue Folge 3.
- Moran, W.L., (1992). *The Amarna Letters*, London.
- Otten, H., (1959-60). *Ein Brief aus Hattusa an Babu-ahu-iddina*, AfO 19: 39-46.
- Schwemmer, D., (2006). *Briefe aus dem Archiv von el-Amarna*, TUAT Neue Folge 3.
- Sommer, F., (1932). *Die Ahhiyawa-Urkunden*, ABAW 6.
- Ünal, A., (2007). *Multilinguales Handwörterbuch des Hethitischen*.
- Wilhelm, G., (2006). *Texte der Umwelt des Alten Testaments*, Neue Folge. Band 3: Briefe.
- Wilhelm, G., Akdoğan, R., (2010). *Ein Täfelchen über Gerstenrationen aus Tigunānu (?)*, AoF 37 1, 159-162.